პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

წელიწადი მეორე

კომუნისტი

ს. კ. პ.
ცენტრალური და თბილისის
კომიტეტის
და სრ. საქ. მ., გ. წ. არ. და მატრ. დეპ. საბ.
ცაკის ორგანო.

რედაქცია: თბილისი, კრუზენ. ქ. № 4. მე 3 სართული
მთავარი კანტორა: თბილისი, რუსთაველის პრ. № 24 მე-2 სართული ტელეფ. 5—48

რედაქციაში საქმისთვის მოლაპარაკება შეიძლება ყოველდღე გარდა კვირა-უქმე დღეებისა 2-დან 3 საათამდე.
ტელეფ. ნომრები: რედაქტორის 14—76, მდივნის—19

ხელის მოწერის თვიური ფასი: საქართველოში 230.000 მ. სხვა საბჭოთა რესპუბლიკებში 1200 მ. 1922 წ. ნიშნებით. განცხადება—20 ათ. მ. ნონპარელის სტრიქონი. სამგლოვიარო განცხადება 500 ათ. მ.

№ 14 პარასკევი, 19 იანვარი 1923 წ. ყოველდღიური გაზეთი ფასი 10.000 მან. № 14

დღიური

დღეს გაიხსნება საქართველოს ცენტრალური აღმასკომის საგანგებო სესია.

გერმანია საფრანგეთის დამოკიდებულება თანდათან მწვავდება.

დეგუტმა გასცა განკარგულება დაკავებულ ოლქებში ნახშირის რეკვიზიციის შესახებ.

პოლონეთში 15 წლიანების მობილიზაციას გამოაცხადებენ.

იტალიაში ბოლონის სერატის ჯგუფმა საჯაროდ განაცხადა კომპარტიასთან გაერთიანება.

ინგლისში უმუშევრობა იზრდება.

დღეს 19 იანვარს, დილის 10 საათზე გაიმართება

სრულიად საქართველოს ცენტ. აღმასრ. კომიტეტის სესია,

ხოლო შუადღის 12 საათზე სესიის ფრაქციის სხდომა და საღამოს 6 საათზე საგანგებო სესიის გახსნა.

სრულ. საქ. ცაკ-ის მდივანი თ. კალანდაძე.

მოქალაქენო!

ამიერ კავკასიის სოციალისტურ საბჭოთა რესპუბლიკების საკავშირო საბჭოს ამა წლის 10 იანვრის დეკრეტით მთელს ამიერ კავკასიაში შემოღებულია ერთიანი ფულის ნიშანი ე. ი. 1923 წლის 10 იანვრიდან ამიერ-კავკასიის ტერიტორიაზე შექმნილია ერთიანი ფულის სისტემა და გაუქმებულია ცალკე რესპუბლიკების დამოუკიდებელი ემისია.

ახალი ერთიანი ფულის ნიშანი გამოშვებულია ამიერ კავკასიაში ყველაზე უფრო მაღალ, ქართულ ბონის კურსის მიხედვით.

საქართველოს, აზერბეიჯანის და სომხეთის ფულის ნიშნებს ძალა და მსვლელობა ექნებათ ორი თვის განმავლობაში, დღიდან ერთიან ფულის ნიშნის გამოშვებისა ე. ი. 10 მარტამდე 1923 წლისა, მაშასადამე ამ ორი თვის განმავლობაში ძველი ნიშნები უნდა იქმნენ გადაცვლილი ახალ ფულის ნიშანზე. გადაცვლის წარმოება შეიძლება ყველა ხაზინებში, სახალხო ბანკსა და მის განყოფილებებში; ამგვარად ყველა დაწესებულებებს და მოქალაქეთ სრული საშუალება ეძლევათ მათ განკარგულებაში მყოფ ადგილობრივი ნიშნები ახალ ფულზე გადაცვალონ, მაშასადამე ბირჟევიკების და სპეკულიანტების მიერ გავრცელებულ ჭორებს თითქო, ახალ ნიშნის გამოშვებით ღირებულებას დაჰკარგავდეს ძველი ნიშნები,—ნიადაგი ეცლება. ახალ ფულის ნიშანის შემოღება აუცილებელი პირობაა ჩვენი რესპუბლიკების სამეურნეო გაჯანსაღებისთვის და მათი მცხოვრებთა მდგომარეობის და ურთიერთი დამოკიდებულების გასაუმჯობესებლათ.

ამიერ-კავკასიის ფულის ნიშნების შემოღებას საკმაო ისტორია აქვს. ჯერ კიდევ ამიერ-კავკასიის ფედერაციის დაარსების დროს დადგენილ იქნა სამივე რესპუბლიკის ფინანსიური გაერთიანება, მაგრამ ამ გადაწყვეტილების განხორციელებას დღემდე ხელი შეუშალეს ათასგვარ პირობებმა.

საბჭოთა რესპუბლიკების სამეურნეო განვითარება დაჟინებით მოითხოვდა ფულის ნიშნების გაერთიანებასაც, რადგანაც ფულის საქმის მოუწესრიგებლობას არევ-დარევა შეჰქონდა მთელს ჩვენ ეკონომიურ ცხოვრებასა და საქმიანობაში.

ამიერ-კავკასიის ფარგლებში ალებ მიცემობის და საქონლის გაცვლა-გამოცვლის წარმოება შეუძლებელი იყო საერთო ფულის ნიშნის უქონლობის გამო; ფართო კომერციული და საერთოდ ეკონომიური დამოკიდებულება ფრიად ბრკოლდებოდა ფულის სხვადასხვა სისტემის გამო.

ამიერიდან ბოლო ელება ყველა ამ დაბრკოლებებს და ერთიან ფულის ნიშნის შემოღებით მარტივდება და ადვილდება ეკონომიური ურთიერთობა და ერთიან სამეურნეო გეგმის გატარება ცხოვრებაში.

მოქალაქენო!

ამ ორი თვის განმავლობაში ეცადეთ გადასცვალოთ თქვენს განკარგულებაში მყოფი ძველი ფულის ნიშნები ამიერ კავკასიის გაერთიანებულ ფულის ნიშანზე და ამისთვის მიმართეთ რესპუბლიკის ყველა ხაზინებს, სახალხო ბანკსა და მის განყოფილებებს, და აგრეთვე რესპუბლიკის ყველა ფოსტა ტელეგრაფის კანტორებს.

ა. კ. ფინსახკომის რწმუნებული საქართველოში ბ. ბიბინეიშვილი.

18 იანვ. 1923 წ. ქ. თბილისი.

კრ. 72—1—1

ამიერ-კავკასიის ცაკის პირველი სესია

ამიერ-კავკასიის ცენტრალური აღმასკომის პირველი სესია დაიხურა 17-ს. მცირე ხანს სულ ორი სხდომა ჰქონდა მას. ამ მოკლე ხნის განმავლობაში მან მნიშვნელოვანი და ნაყოფიერი მუშაობა ჩაატარა. მას უაღრესად საქმიანი ხასიათი ჰქონდა.

ჩვენი წარმომადგენლობითი ორგანოების მუშაობა არ გავს პარლამენტარულ თამაშს და დიპლომატიურ ოინბაზობას, რაც ჩვეულებრივ ბურჟუაზიულ ქვეყნების წარმომადგენლობითი ორგანოებს, კონფერენციებს, თათბირებს და სხ. და რაც დამახასიათებელი თვისებას შეადგენდა აგრეთვე ამიერ-კავკასიის სეიმისას, რომელიც იყო ტრიბუნა ნაციონალურ ბრძოლის, ეროვნულ სიძულვილის გაღვივების, სეიმისას, რომელიც ამასთან მოკლებული იყო ორგანიულ, აღმშენებლობითი მუშაობის ყოველგვარ უნარს.

სხვა რამე არც იყო მოსალოდნელი „სეიმისაგან", რომელიც შედგებოდა ნაციონალურ და კონტრ-რევოლუციონურ პარტიებისაგან,—მენშევიკებისა, დაშნაკებისა და მუსავატელებისაგან.

ასეთმა შემადგენლობამ კიდეც განუმზადა მას სამარცხვინო აღსასრული.

წინააღმდეგ, საბჭოთა ხელისუფლებამ, რომელსაც ხელმძღვანელობს კომუნისტური პარტია, გააერთიანა ამიერ კავკასიის ხალხთა ყველა მშრომელნი, ჩამოაგდო მათ შორის ნაციონალური მშვიდობიანობა და აქტიურად ჩააბა ისინი საერთო აღმშენებლობაში. ამ მიმართულებით მუშაობა დაიწყო საბჭოთა ხელისუფლების დამყარების მომენტიდანვე, ფორმალური გამოხატულება მან ჰპოვა ამიერ-კავკასიის ფედერაციის დაარსებაში, რომელიც ბაქოს ყრილობამ გარკვეულ ფორმებში ჩამოაყალიბა. ამ ყრილობის ნების ასასრულებლად, ახლად დაარსებულმა სესიამ აირჩია ცაკის პრეზიდიუმი და სახალხო კომისართა საბჭო, მიიღო საბოლოო რედაქციით ფედერაციის კონსტიტუცია.

გარდა ამისა სესია შეეხო ზოგიერთ სპეციალურ საკითხებს, როგორიცაა მებამბეობა, მელიორაცია, და გადასწყვიტა ამ სფეროში მუშაობას და ხელმძღვანელობას თავი მოუყაროს ფედერაციის საერთო ორგანოებში.

ფრიად მნიშვნელოვანია სესიის დადგენილება ამიერ-კავკასიის კომუნისტური უნივერსიტეტის დაარსების შესახებ. ამ უნივერსიტეტმა უნდა მოამზადოს მშრომელი ახალგაზრდობა, როგორც პარტიულ, ისე საბჭოთა მუშაობისათვის. მან უნდა ხელი შეუწყოს მარქსისტული, კომუნისტური კულტურის გაფურჩქვნას.

სესიის მუშაობაში აღსანიშნავია ისიც, რომ მან საგანგებო კომისია მიანდო საბჭოთა რესპუბლიკების საკავშირო ხელშეკრულების და დეკლარაციის განხილვა, რის შემდეგ იგი წარედგინება დასამტკიცებლად ცაკის შემდეგ სესიას.

პირველი სესიის მუშაობის შემდეგ ამიერ-კავკასიის სახელმწიფოებრივი შენობა ფორმალურად დამთავრებული და ჩამოყალიბებულია.

ეჭვს გარეშეა, რომ ცაკის პრეზიდიუმი და ახალი მთავრობა, ამიერ კავკასიის ყველა მშრომელთა დახმარებით, შესძლებენ მუშათა კლასის და ღარიბი გლეხ-კაცობის ბატონობის შემდეგ განმტკიცებას, მხარის ეკონომიურ აღორძინებას, მშრომელთა მატერიალურ და კულტურულ მდგომარეობის დონის ამაღლებას.

შრომის ახალი კანონთა კოდექსი

V

შრომის კონფლიქტები და შრომის კანონების დარღვევათა გამრჩევი ორგანოები.

დაქირავებულ შრომის გარშემო აღმოცენებულ კონფლიქტების გასარჩევათ, შრომის ახალი კოდექსი აწესებს მთელ რიგ საკონფლიქტო ორგანოებს. **შემფასებელ-შეთანხმებელი კომისია, მომრიგებელი კამერა, სამედიატორო სასამართლო და შრომის სასამართლო**,—აი მთელი რიგი ინსტანციებისა, სადაც ირჩევა დავები დამქირავებელსა და დაქირავებულ შორის და შრომის კანონების დარღვევის საქმეში.

ერთი შეხედვით მათი რიცხვი თითქო ბევრია, რასაც ბუნებრივად უნდა მოჰყვეს ერთგვარი ბიუროკრატიზმი, საქმის დიდი ხნის განმავლობაში შეფერხება და სხვა.

მაგრამ ნამდვილად ეს ასე არ არის და კონფლიქტის გარჩევის პროცესი ახალი წესით ძლიერ ჩქარა და უმტკივნეულოთ ხდება. ორგანოების სიმრავლე კი გაწონასწორებულია შემდეგი გარემოებით.

როგორც წინა წერილებში ვთქვით, შრომის კანონები სავალდებულოა მხოლოდ მინიმუმად, ხოლო მასზე გადაცილება და შრომის უკეთესი პირობების დაწესება—ეს შეთანხმებების საქმეა, რაც ფართო ასპარეზს უშლის დამქირავებელსა და დაქირავებულთა შორის ხელშეკრულებების დადებას. ხელშეკრულები დადების პროცესი, მისი გამომუშავება მთლიანად ან ცალკე მუხლების, უეჭველად გამოიწვევს დავას რაც უბრალო მოლაპარაკებით ვერ გადიჭრება.

აი, სწორედ ეს აქვს მხედველობაში შრომის ახალ კოდექსს. იქ ნაჩვენები მთელი რიგი საკონფლიქტო ორგანოებისა სწორედ ამ დავის გადასაჭრელად წესდება. **შეთანხმების და დების დროს აღმოცენებული დავებს არჩევს მომრიგებელი კამერა, სამედიატორო სასამართლო და შემფასებელი საკონფლიქტო კომისია.**

ყველა ზემო ჩამოთვლილი ორგანოები წარმოადგენენ პარიტეტულ დაწესებულებებს, ერთი მხრივ მუშა მოსამსახურეთა და მეორე მხრივ წარმოება-დაწესებულების ადმინისტრაციის წარმომადგენლების თანაბარ რიცხვიდან. სწორედ ამ (უპარიტეტოთ) მათი არსებობა შეუძლებელი იყო, ვინაიდან ისინი იხილავენ მხოლოდ იმ დავებს, რომელნიც საჭიროებენ ორივე მხარეების შეთანხმებას. სანამ შეთანხმება არ მოხდება, მანამ საკითხი ითვლება სადავოთ და არც ერთ მხარეს არ შეუძლია მოითხოვოს მისი განხორციელება. შეთანხმების შემდეგ ორივე მხარეს **უფლება აქვს** მოითხოვოს მისი შესრულება (თუ ასეთი ნებით არ სრულდება) არა პარიტეტული შემთანხმებელი ორგანოს საშუალებით, არამედ სასამართლოთი.

მაგალითად, მუშა მოსამსახურეთ არ შეუძლიათ მოითხოვონ კოლექტიური ხელშეკრულების განხორციელება, სანამ ის დადებული და ხელმოწერილი არ არის, დადების შემდეგ მათ უფლება აქვთ მოსთხოვონ დამქირავებელს მისი მთლიანათ შესრულება, ამრიგათ, მომრიგებელი კამერა და სამედიატორო სასამართლო წარმოადგენენ შემთანხმებელ-პარიტეტულ ორგანოებს. როგორც ასეთები, ისინი მუდმივათ არ არსებობენ, არსდებიან მხოლოდ საჭიროების შემთხვევაში.

მომრიგებელი კამერა არჩევს დავებს, რომელნიც დაკავშირებულია კოლექტიური ხელშეკრულების დადებასთან, მისი რომელიმე მუხლის ან მთლიანათ გამომუშავებასთან. მას შეუძლია აგრეთვე გაარჩიოს ხელშეკრულების რომელიმე მუხლი, რომელიც გაუგებრობას იწვევს.

მომრიგებელ კამერაში საქმეები ირჩევა ორივე მხარეების თანხმობით და წყდება მხოლოდ **თანხმობის წესით**.

მომრიგებელი კამერა შესდგება ორივე მხარეების წარმომადგენლების თანაბარ რიცხვიდან. თავმჯდომარეს ირჩევენ ნეიტრალურ პირს, რომელსაც არა აქვს გადამწყვეტი ხმის უფლება და მხოლოდ ხელს უწყობს შეთანხმების მიღწევას.

სამედიატორო სასამართლო გაირჩევა მომრიგებელ კამერისაგან შემადგენლობით, აქ უკვე თავმჯდომარეს აქვს გადამწყვეტი ხმა, ის გამოდის არბიტრათ. სამედიატორო სასამართლო არჩევს შეუთანხმებელ საქმეებს, რომელნიც ვერ გადაწყდნენ მომრიგებელ კამერაში ან მხარეების სურვილით გადმოეცემა უშუალოთ მასთან. სამედიატორო სასამართლოში საქმეები ირჩევა ხმის უმეტესობით და მისი დადგენილება საბოლოოა არის.

კოდექსი აღნიშნავს განსაკუთრებით, რომ როცა კონფლიქტი მოხდება სახელმწიფო წარმოება დაწესებულებებში და ადმინისტრაცია თანხმობას არ აცხადებს სამედიატორო სასამართლოზე, პროფესიონალურ კავშირებს ნება აქვთ შრომის სახალხო კომისარიატის ორგანოების საშუალებით მოაწყონ სამედიატორო სასამართლო, რაც სავალდებულოა სახელმწიფო წარმოება-დაწესებულების ადმინისტრაციისათვის.

ეს ზომა მიზანშეწონილია, რათა კონფლიქტები სახელმწიფო წარმოება დაწესებულებებში მშვიდობიანი გზით იქნას გადაჭრილი და გაფიცვები თავიდან იქნას აცილებული. კერძო წარმოების მეპატრონე, თუ უარს განაცხადებს შეთანხმების წესით კონფლიქტის გადაჭრაზე, მაშინ მუშებს შეუძლიათ აიძულონ ის გაფიცვით. ასეთ გაფიცვებს ამ ბოლო დროს ბევრი ადგილი ჰქონდა მოსკოვის კერძო წარმოებებში, რომელნი გაფიცვები მუშების გამარჯვებით დამთავრდნენ.

შემფასებელ-საკონფლიქტო კომისია წარმოადგენს მუდმივ ორგანოს წარმოება—დაწესებულებებთან, ადმინისტრაციის და მომუშავეთა წარმომადგენლების თანაბარ რიცხვიდან.

საქმეები ირჩევა შეთანხმების წესით და თუ ასეთი ვერ მოხდა გადადის მეორე ინსტანციაში (მომრიგებელი კამერაში და შრომის სასამართლოში).

შემფასებელ საკონფლიქტო კომისიის ფუნქციებში შედის: კოლექტიური ხელშეკრულების ცხოვრებაში გატარების საკითხები, დათხოვნებზე აღმოცენებული დავები, ნარდი სამუშაო შეფასება, მორიგი შვებულების მიუცემლობის შესახებ საჩივრების განხილვა, შვებულების რიგების დაწესება და ყველაფერი ის, რაც ადგილობრივათ დავას იწვევს და საჭიროებს შეთანხმების წესით გადაწყვეტას.

ზევით ჩამოთვლილი სხვა მომრიგებელი და შემთანხმებელი საკონფლიქტო ორგანოები, რომელნიც არსდებიან მხოლოდ იმ შემთხვევებისათვის, როცა საჭიროა შეთანხმება მაგრამ როცა უკვე დადებული, როგორც ინდივიდუალური, ისე კოლექტიური შეთანხმება-ხელშეკრულება, ან კანონით მინიჭებული მუშა-მოსამსახურის უფლება ირღვევა, ამ შემთხვევაში არავითარ შემთანხმებელ ორგანოებზე ლაპარაკი არ შეიძლება. ვიღეთ, მაგალითად, შემდეგი შემთხვევა: მომუშავეს, დადებული ხელშეკრულების ძალით ეკუთვნის ჯამაგირი თვეში ათი მილიონი ან კანონით დაწესებული წელიწადში ერთი თვის შვებულება. დამქირავებელი მას ამას არ აძლევს. ვის უნდა მიმართოს ამ შემთხვევაში? შემთანხმებელ—საკონფლიქტო ორგანოებს (მომრიგებელი კამერა და სხვ.) თუ სასამართლოს? რასაკვირველია, უკანასკნელს, ვინაიდან აქ შელახულია მომუშავის კერძო უფლება მას ერგება და არ აძლევენ არავითარ შეთანხმებით არ შეიძლება ლაპარაკი იქ, სადაც არ სრულდება მომუშავის კანონიერი მოთხოვნილება.

ამიტომ ამ გვარ საქმეებს არჩევს სახალხო სასამართლოს სპეციალური სესია ეგრეთ წოდებული **შრომის სასამართლო**.

პრაქტიკამ აქამდი იცოდა არა შრომის სასამართლოებში ასეთ საქმეების გარჩევა, არამედ შრომის კომისარიატის ორგანოებთან არსებულ **საკონფლიქტო კომისიებში**, რომელნიც რიგით ბიუროკრატიული წესით აღმოცენდნენ და დაიკავეს სასამართლოს ადგილი. ახალი კოდექსით საკონფლიქტო კომისიები ისპობიან და მათ მაგიერათ ეწყობიან ზედით ხსენებული შრომის სასამართლოში.

შეიძლებოდა სპეციალური სასამართლოები არ მოეწყობილიყო და საქმეები ჩვეულებრივ სასამართლოს გარჩეოდა, მაგრამ, თუ მხედველობაში მივიღებთ, რომ შრომის საკითხები ფრიად რთული არიან და ისინი საჭიროებენ თავისებურ მიდგომას, ჩვენთვის ცხადი იქნება სპეციალური სასამართლოს გამოყოფის მნიშვნელობა.

სასამართლოს შემადგენლობაც სპეციალურია—თავმჯდომარე მოსამართლე, წევრები შრომის კომისარიატის და პროფესიონალურ კავშირების წარმომადგენელნი. სასამართლოს ასეთი შემადგენლობა მას შრომის საკითხებში ფრიად კომპეტენტურს ხდის, რაც აუცილებელ საჭიროა.

შრომის სასამართლოში გაირჩევა: საზოგადო უფლებრივ წესით (**в порядке публичном правовом**) შრომის კანონების დარღვევათა საქმეები და კერძო უფლებრივ წესით (**в порядке частно правовом**) კონფლიქტები, რომელნიც წარმოიშვება დამქირავებელსა და დაქირავებულს შორის დადებული ხელშეკრულების დარღვევის და აგრეთვე კოლექტიური ხელშეკრულების შეუსრულებლობის ნიადაგზე.

ამრიგათ, შრომის ახალი კოდექსი აწესებს, ერთი მხრივ, შემთანხმებელ (პარიტეტულ) საკონფლიქტო ორგანოებს, მეორე მხრივ, შრომის სასამართლოს.

თუ საჭიროა შრომის პირობის დადგენა, ის უნდა მოხდეს შეთანხმების წესით, თუ დარღვეულია დადგენილი პირობა ან კანონი, საქმე უნდა გაირჩეს იძულებითი წესით სასამართლოში.

ს. გოდაბრელიძე.

გენ. დეგუტის მოთხოვნა

ახალი სანქციები.

მანჩესტერი 18 იანვ. გერმანიის მხრივ წარმოებათა წარმომადგენლების თათბირზე დიუსელდორფში გენ. დეგუტმა გაიმეორა თავისი მოთხოვნილება ნახშირის მიწოდების დაუყოვნებლივ დაწყების შესახებ და დაიმუქრა, წინააღმდეგ შემთხვევაში ახალი „სანქციებით". დეგუტი აგრეთვე მოითხოვს მიწოდების გადიდებას 2 40-ით და იმ ნახშირის დაბრუნებას, რომელიც გატანილ იქნა გერმანიის დაუკავებელ ოლქებში. ოკუპაციო ხელისუფლების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ მრეწველებმა გააუარესეს გერმანიის [illegible] განზრახვით შექმნილი მდგომარეობა ამ განცხადების გამო თათბირზე დამსწრე გერმანიის მთავრობის წარმომადგენელმა ბრიუნერმა, დასტოვა თათბირის სხდომის დარბაზი. საოკუპაციო მთავრობის წარმომადგენლის განცხადების შემდეგ იმის შესახებ, რომ საფრანგეთის მთავრობა არასოდეს არ ყოფილა მშრომელი მასსების მტერი, თათბირზე გამოწვეულმა მუშათა წარმომადგენლებმა განაცხადეს სასტიკი პროტესტი და უკმაყოფილება იმის გამო, რომ ისინი მოსწყვიტეს მუშაობას რამოდენიმე დღით დიუსელდორფში წამოსასვლელად და აღნიშნულ განცხადებების მოსასმენად. მუშათა წარმომადგენლებმაც აგრეთვე დასტოვეს სხდომის დარბაზი.

რადიო-დეპეშები

რურის ოლქის ოკუპაცია

გერმანია და საფრანგეთი.

მოსკოვი. 18 იანვ. დამოკიდებულება ერთის მხრივ გერმანიასა და მეორეს მხრივ საფრანგეთისა და ბელგიის შორის ყოველი საათით მწვავდება.

„ეკო დე პარი" იტყობინება, რომ საფრანგეთი, შეიძლება დაეთანხმოს გადაუხადოს გერმანიის ნახშირის მწარმოებლებს მუშების შრომის ხელფასი და წარმოების სხვა ხარჯები. ბერლინში დაბნეულობაა. „დოიჩე ალგემაინე ცაიტუნგი" იტყობინება, რომ გერმანია თანახმაა შემდეგი მოლაპარაკებისათვის, იმ პირობით თუ მასში მონაწილეობას მიიღებს მთელი ანტანტა.

გერმანიის მთავრობა და სტინესის ჯგუფი.

მოსკოვი. 18 იანვ. დამახასიათებელია გერმანიის მთავრობასა და სტინესის ჯგუფს შორის უთანხმოება ბელგიისა და საფრანგეთისათვის ნახშირის მიწოდების საკითხში.

სტინესის პრესა აღნიშნავს მიწოდების წმინდა კომერციულ საფუძვლებზე დამყარების შესაძლებლობას.

იარაღის რეკვიზიცია.

მოსკოვი. 18 იანვ. დეგუტმა განკარგულება გასცა იარაღის ჩამორთმევის შესახებ ოკუპაციაქმნილ ოლქის მცხოვრებლებისათვის.

საფრანგეთის საქონელი.

მოსკოვი. 18 იანვ. გერმანიის პროფკავშირების მიერ საფრანგეთისა და ბელგიის საქონლისათვის გამოცხადებული ბოიკოტი წარმატებით მიმდინარეობს.

მოქმედების კომიტეტები.

მოსკოვი. 18 იანვ. საფრანგეთის კომპარტიამ და შრომის კონფედერაციამ, ჯერ კიდევ რურში ფრანგების შემოსვლამდი, ყველა ქარხნებსა და ფაბრიკებში მოაწყო მოქმედების კომიტეტები საფრანგეთის მთავრობის იმპერიალისტურ პოლიტიკის საწინააღმდეგოთ.

სისხლის ღვრილი შეტაკებები რურში.

მოსკოვი. 18 იანვ. ბოხუმში მოხდა პირველი სისხლის ღვრილი შეტაკება მცხოვრებლებსა და საოკუპაციო ჯარებს შორის. ჯარები თოფებიდან და ტყვიამფრქვევებიდან ესროდნენ საფრანგეთის საწინააღმდეგო დემონსტრაციას. ორი დაჭრილია და ერთი მოკლული.

შემდეგი ოკუპაცია.

მოსკოვი. 18 იანვ. დორტმუნდის დაკავების შემდეგ ჯარები შევიდა [illegible].

ნახშირის წარმოება.

მოსკოვი. 18 იანვ. გერმანიიდან მიღებულ ცნობებით ნახშირის წარმოება რურში შემცირდა 20 პროც.

ფრანგების მოქმედება.

მოსკოვი, 18 იანვარი. გრძელდება საფრანგეთის ჯარების შემდეგ წინსვლა გერმანიის საზღვრების შიგნით. განზრახულია მიუნსტერის ოკუპაცია. ლონდონში დიდ მნიშვნელობას აძლევენ დორტმუნდის ოკუპაციას, რომელიც წარმოადგენს სტინესის მთავარ შტაბს.

ფრანგების მუქარა.

მოსკოვი, 18 იანვარი. ინგლისის ბურჟუაზიული პრესა იტყობინება, რომ გერმანიის მრეწველებს ემჩნევათ ფრანგებისადმი დათმობის სურვილი, რათა არ დაჰკარგონ მთელი მათი კეთილ-დღეობა. საფრანგეთის გენერალმა სიმონსმა განაცხადა, რომ თუ შემდეგში შახტების პატრონები გამოიჩენენ წინააღმდეგობას, ფრანგები ჩამოართმევენ კრუპის და სხვა ფირმების ქონებას.

გერმანიის ბირჟაზე.

მოსკოვი. 18 იანვარი. გერმანიის ბირჟაზე კვლავ პანიკა სუფევს. რურის წარმოებათა აქციები იყიდება დაცემულ ფასებში. მარკა კვლავ ეცემა.

ნახშირის რეკვიზიცია.

მოსკოვი. 18 იანვარი. საფრანგეთის მთავრობამ გასცა ბრძანება რურის ოლქში ნახშირის რეკვიზიციის შესახებ. გერმანიის მრეწველებმა განაცხადეს, რომ ისინი მზად არიან, მიაწოდონ ნახშირი, თუ გააუქმებენ განკარგულებას რეკვიზიციის შესახებ. მაგრამ, უკანასკნელ დროს, გერმანიის მრეწველებმა გადაწყვიტეს დაიჭირონ წინანდელი პოზიცია და უარი სთქვან საფრანგეთისა და ბელგიისათვის ნახშირის მიწოდებაზე. ამის გამო, ბრძანება რეკვიზიციის შესახებ შევიდა ძალაში. მოკავშირეებმა რურში კონფისკაცია უყვეს 3 000 ტონა ნახშირს გერმანიის მრეწველების პოზიციის უეცარი შეცვლა აიხსნება გერმანიის მთავრობის მუქარით, რომ ჩამორთმეული ექნება მათი საბანკო გირაო, თუ გაგრძელდება ნახშირის მიწოდება.

ნაუენი 18 იანვარი. საფრანგეთის სავაჭრო პალატის თავმჯდომარემ ჟერიოტმა აცნობა პუანკარეს, რომ 10 ინგლისელი ინჟინერი თავისი სურვილით შევიდნენ სამსახურში რურის ოლქში.

წითელი პროფკავშირები.

მანჩესტერი, 18 იანვ. გაზ. „ტაიმსის" ცნობით რურის სამთამადნო მუშები, რომელნიც მჭიდრო კონტაქტში იმყოფებიან ინგლისელ სამთამადნო მუშებთან, უარს იტყვიან ზედმეტ სამუშაოზე, რომელსაც საფრანგეთი მოითხოვს იმის გამო, რომ ინგლისში [illegible] მუშებს არ აქვთ საქმე.

საკონტრიბუციო კომისიაში.

ბორდო, 18 იანვ. პარასკევს განზრახულია საკონტრიბუციო კომისიის მოწვევა ბენზოლის მიწოდების საკითხის განსახილველად.

წამოსცდათ.

ბორდო. 18 იანვარი რურის ოლქის დაკავების გამო გაზ. „დეილი [illegible]": „პოლიტიკური თამაში", რომელიც ეხლა სწარმოებს გაცილებით ღრმადაა ნახშირის საკითხი. შემდეგ გაზეთი იმით ათავებს თავის წერილს, რომ ამბობს: „ჩვენ წინაშე სდგას (დამახინჯებული) გერმანია".

გენერალ ფოშის განცხადება.

ნაუენი, 18 იანვარი. ლონდონის გაზეთების ცნობით, საფრანგეთის პასუხისმგებელი წრეები ფიქრობენ, რომ საფრანგეთის საოკუპაციო ხელისუფლებს რურში მოელით გაცილებით მეტი და სერიოზული დაბრკოლებანი, ვიდრე ამას მოელოდენ. გენერალმა ფოშმა სთქვა: „რური ჩვენ დაგვაკავებს უფრო მეტად, ვიდრე ჩვენ რურს დავაკავებთ".

საკონტროლო კომისიის მოქმედება.

ნაუენი შტეტინში საზოგადოებრივ სკოლების დირექტორმა უარი განაცხადა ინჟინრების საკავშიროთაშორისო საკონტროლო კომისიის დაშვებაზე სკოლების დასათვალიერებლად და განაცხადა, რომ ეს დათვალიერება არ შედის ინჟინრების კომისიის კომპეტენციაში.

გერმანიის ამბები

დემონსტრაცია მიუნხენში.

მოსკოვი. 18 იანვარი. მიუნხენში ნაციონალისტები თავს დაესხნენ პროფკავშირების მიერ გამართულ საპროტესტო დემონსტრაციას რურის ოლქის ოკუპაციის წინააღმდეგ. პოლიციამ ნაციონალისტებთან ერთად გარეკა დემონსტრაცია. იყო ცემის და ხმარების შემთხვევა.

ლიბკნეხტის ხსოვნის აღსანიშნავი ზეიმის აკრძალვა.

მოსკოვი. 18 იანვარი. მიუნხენში ხელისუფლებამ აკრძალა ლიბკნეხტის ხსოვნის აღსანიშნავი ზეიმი.

ლოზანის კონფერენცია

საკითხი სრუტეების შესახებ.

მოსკოვი. 18 იანვ. მოკავშირეებსა და ოსმალეთის დელეგატებს შორის გრძელდება არაოფიციალური მოლაპარაკება სრუტეების და გალიპოლის საკითხის შესახებ. მოკავშირენი კვლავ ცდილობენ ჩამოაშორონ ოსმალები ამ მოლაპარაკებს.

საკითხი კაპიტულაციების შესახებ.

მოსკოვი. 18 იანვ. ოსმალეთის დელეგაციამ მიიღო ანგორიდან ინსტრუქცია შეინარჩუნოს შეურიგებელი პოზიცია კაპიტულაციების და სამხედრო ზარალის ანაზღაურების საკითხების შესახებ.

რურში შექმნილ მდგომარეობის გამო

მანჩესტერი 18 იანვ. ლონდონიდან იტყობინებიან, რომ რურის ოლქში შექმნილ მდგომარეობის გამო, ლორდ კერზონი გაემგზავრა ლონდონში.

ახლო აღმოსავლეთში

მოსული.

მოსკოვი. 18 იანვრი. ანატოლიის ტელეგრაფის სააგენტო იტყობინება, რომ ინგლისის საჰაერო ფლოტი 1 ნახ. საათის განმავლობაში ყუმბარებს უშენდა მოსულის რაიონებს. ყუმბარების მიერ გადამწვარია ქალაქი რევანდუსი. რაიონებში აეროპლანებმა დაანგრიეს ყველა სოფლები, აჯანყებულებმა ჩამოაგდეს 2 აეროპლანი.

კონსტანტინოპოლში.

მოსკოვი. 18 იანვ. რეიტერის სააგენტოს ცნობით კონსტანტინოპოლში მოხდა შეტაკება ოსმალებისა და ინგლისის ჯარის კაცებს შორის. მძიმეთ დაჭრილია 2 ინგლისელი.

ბერძნების მოქმედება.

მოსკოვი. 18 იანვ. ბელგრადიდან მიღებულ შეუმოწმებელ ცნობების თანახმად ბერძნებმა დაიკავეს ადრიანოპოლი და კარაგაჩი.

მდგომარეობა ინგლისში

უმუშევრობა ინგლისში.

მოსკოვი. 18 იანვ. ბონარ-ლოუმ ხელახლა სთქვა უარი უმუშევართა დელეგაციის მიღებაზე.

ფრონტი კაპიტალიზმის წინააღმდეგ ინგლისში.

მოსკოვი. 18 იანვ, ინგლისის მუშათა წრეები დიდ საგონებელში ჩავარდენ კაპიტალისტების გალაშქრების გამო 8 საათის სამუშაო დღის და მრეწველობის სხვა და სხვა დარგებში ხელფასის წინააღმდეგ. მუშები მოითხოვენ ერთიან საბრძოლველ ფრონტის შექმნას მწარმოებელთა შემოტევის წინააღმდეგ. 24 იანვარს გაიმართება ტრედუნიონების მთავარი კონგრესის სხდომა კაპიტალის წინააღმდეგ ბრძოლის მეთოდების განსახილველად.

მემელის დაპყრობის გამო

ლიტოველების მოქმედება.

მოსკოვი. 18 იანვ. ლიტოველებმა გამოაცხადეს მემელში განსაკუთრებული მდგომარეობა და დაამტკიცეს ბურგომისტრი. გერმანიიდან იტყობინებიან, რომ ფრანგები აჯანყებულებისადმი პასიურობას იჩენენ.

საფრანგეთის ახალი მახინაცია.

ბორდო 18 იანვ დღეს დილით, ჟიულ კამბონის თავმჯდომარეობით გარეშე საქმეთა სამინისტროს შენობაში გაიმართა ელჩების კონფერენციის სხდომა. კონფერენციამ დაადგინა დაუყოვნებლივ გაგზავნოს მემელში საგანგებო კომისია, რომელსაც უფლება ექნება შეადგინოს იქ ახალი მთავრობა, რომელიც იქნება მოკავშირეთა კონტროლის ქვეშ და მიზნად დაისახავს მშვიდობიანობის და წესრიგის აღდგენას. საგანგებო კომისიამ უნდა წარუდგინოს ელჩთა კონფერენციას მოხსენება მემელის მდგომარეობის შესახებ, რის შემდეგ კონფერენცია მოაწესრიგებს მემელის საკითხს. ლიტვის მთავრობას მიეცემა წინადადება ყოველგვარი საშუალებით მოახმაროს, რათა აიძულოს მემელის ლიტოველები დაემორჩილონ საგანგებო საკავშირო კომისიის ავტორიტეტს.

ახალი რეკვიზიციები

მანჩესტერი. 18 იანვარი. პუანკარეს და ბელგიის მთავრობის გადაწყვეტილების თანახმად საფრანგეთმა უნდა მოახდინოს რეინის გემთა ფლოტილიის და რკინის გზის ხაზის რეკვიზიცია. პარიზის პრესა იტყობინება, რომ სარეკვიზიციო ზომები უკვე ტარდება ცხოვრებაში. მრავალი ბავარიაში მიმავალი ნახშირით დატვირთული მატარებლები შეაჩერეს და გაგზავნეს საფრანგეთში.

საკავშირო ფლოტი.

მანჩესტერი. 18 იანვარი. მემელიდან მიღებულ ცნობების თანახმად, იქ ჩავიდა, ინგლისის კრეისერი და პოლონეთის სამხედრო გემი „კომენდანტი პილსუდსკი". დღეს მოელიან კიდევ 3 საკავშირო გემის ჩასვლას.

მდგომარეობა იტალიაში

კავშირი კომპარტიასთან იტალიაში.

მოსკოვი. 18 იანვ. ბოლონის ჯგუფის სერატის სექცია თანახმაა შეუერთდეს კომპარტიას.

კომუნისტების დევნა იტალიაში.

მოსკოვი. 18 იანვ. ლივორნოში დაპატიმრებულია 100 ზე მეტი კომუნისტი, რომელნიც ბრალი ედებათ მთავრობის წინააღმდეგ შეთქმულებაში.

სხვადასხვა ამბები

მემელის დაკავება.

მოსკოვი. 17 იანვარი. ვოლფის სააგენტოს ცნობით მემელი ლიტველებმა დაიკავეს.

უმუშევრობა ვენაში.

მოსკოვი, 18 იანვ. უმუშევრებმა გამართეს ვენაში დიდი მიტინგი. ორატორები ილაშქრებდენ მთავრობის წინააღმდეგ და უკმაყოფილონი იყვნენ პროფკავშირებს, რომ ისინი უმოქმედობას იჩენენ უმუშევრობის საკითხში მიტინგმა მიიღო კომუნისტური ხასიათის რეზოლუცია.

წითელ რესპუბლიკებში

რუსეთი

სახელმწიფო ფლოტი.

მოსკოვი. 17 იანვარი. სახელმწიფო ფლოტმა თავის არსებობის მოკლე ხნის განმავლობაში შეასრულა დიდი სამუშაო. 1920 წელს მის მიერ გადაზიდული იყო 73,000 ფუთი ტვირთი და 3,900 მგზავრი 1921 წ.—4 ნახ. მილ. ფუთი ტვირთი. 1922 წ 1 იანვრიდან 1-სექტემბრამდე—6,400,000 ფუთი ტვირთი და 120,000 მგზავრი, 1-სექტემბრიდან 1 დეკემბრამდე—5 ნახ მილ. ტვირთი და 137,000 მგზავრი.

მთელი მუშაობა შესრულებულია საბრუნავ საშუალებათა სიმცირის დროს.

პურის დუქნები მუშებისათვის

მოსკოვი 17 იანვარი. სარატოვის ცენტრალური მუშათა კოოპერატივი ხსნის პურის დუქნებს მუშებისთვის, რომლებშიდაც პური გაიყიდება 20 პროცენტით ნაკლებ ფასებში, ბაზართან შედარებით.

სამეურნეო ფრონტზე.

მოსკოვი. 17 იანვარი. ცარიცინის გუბერნიაში ამუშავებულია მიწადმოქმედების იარაღების ქარხანა, რომელიც არ მუშაობდა დიდი ხნის განმავლობაში.

დამშეულები.

მოსკოვი. 17 იანვარი. პირველ იანვრისათვის ურალის გუბერნიაში აღრიცხული არიან დამშეულები: 91,105 მოზრდილი და 7,700 ბავშვი.

დახმარება წითელ არმიისათვის.

მოსკოვი. 17 იანვ. წითელ არმიელებისადმი დახმარების კამპანია ადგილებზე [illegible] წარმატებით მიმდინარეობს. მუშებმა გაიღეს წითელ არმიის სასარგებლოდ სამი დღის ხელფასი.

ზოგიერთ წარმოებებში შემოღებული იყო ზედმეტი სამუშაო წითელ არმიელთა სასარგებლოდ.

ეკონომიური გაფიცვა.

მოსკოვი. 17 იანვ სევასტოპოლში მოსულ იტალიის გემის მოსამსახურეებმა გამოაცხადეს ეკონომიური გაფიცვა. ოდესის მეზღვაურების კავშირმა მხარი დაუჭირა გაფიცვას და ის დამთავრდა მუშების გამარჯვებით, რომელთა მოთხოვნილება სავსებით დაკმაყოფილებულ იქნა.

მურმანის ბაზრობა.

მოსკოვი 17 იანვ. მურმანის ბაზრობის ოპერაციები პირველ კვირის განმავლობაში აღწევდა 1 მილიონ მან. ბაზრობაზე მოვიდა შვეციიდან და საფრანგეთიდან ორი გემი საქონლით.

რ. ს. ფ. ს. რ. არქივი ბერლინში.

მოსკოვი. 17 იანვ. განათლების სახალხო კომისარიატის კოლეგიამ აუცილებლათ სცნო თავისი მონაწილეობა ბერლინში რ. ს. ფ. ს. რ. არქივის ორგანიზაციაში. ეს არქივი უნდა შეიქმნეს საძირკველი ყველა იმის შესასწავლად, რაც შექმნა საბჭოთა რუსეთმა ხუთი წლის განმავლობაში პოლიტიკის და ხელოვნების სფეროში.

მოსკოვის საქონლის ბირჟის არსებობის წლის თავი.

მოსკოვი. 17 იანვ. მოსკოვის საქმიან კლუბში დიდი ზეიმით იდღესასწაულეს მოსკოვის საქონლის ბირჟის წლის თავი. სხდომაზე აღნიშნულ იქნა, რომ უკანასკნელი თვეების განმავლობაში ოპერაციების ზრდა გაძლიერებული ტემპით სწარმოებდა.

უცხოეთის ცხოვრება

უნგრეთის სოციალისტების პარტიული ყრილობა

საშობაო დღესასწაულების დროს ბუდაპეშტში გაიმართა უნგრეთის სოციალისტური პარტიის ყრილობა. ამ ყრილობაზე, მიუხედავად ხორტის რეჟიმის მძიმე პირობებისა, წარმოდგენილი იყვნენ უნგრეთის ყველა მუშათა ორგანიზაციები 300 დელეგატის სახით. ყრილობა ხდებოდა ისეთ განწყობილებაში, რომელიც უჩვეულოა ევროპიულ პირობებისათვის. მას დაესწრო პოლიტიკური პოლიციის 30 მოსამსახურე ფორმაში მორთული და 20 ჯაშუში, რომელთაც ჰქონდათ ოფიციალური დავალება თვალ ყური ედევნებინათ ყრილობის მუშაობისათვის. ეს თვალ-ყურის დევნება ხშირად იმაში გამოიხატებოდა, რომ პოლიციის წარმომადგენლები ერეოდნენ კამათში, იცავდნენ რა უნგრეთის სახელმწიფოს „ლიბერალურ სახელს" სოციალისტურ თავდასხმისაგან. ასე მაგალითად, როდესაც ნანი ზანი-

არჩევნები თბილისის საბჭოში არჩეულნი არიან:

ქართული მსროლელთა ლეგიონში

საპატიო წევრებად: ამხ. ტროცკი, მახარაძე, ორჯონიკიძე.

წევრებად: ლიქვ ძე—უპარტიო, ენუქიძე—კომ., ქუთათელაძე—უპარტიო, ლომ ძე, ტოლიშვილი, კაზაროვი—კომუნისტი, ფირაძე—უპარტიო.

კანდიდატებათ: გამრეკელიძე, კალმახელიძე—კომუნ. ზვიადაძე—უპარტიო, ელიაშვილი—კომუნისტი.

მე-3-ე რაიონში,

საგარნიზონო პურის საცხობის არტელი, სამხედრო წისქვილის მუშა მოსამსახურეები, სახურსათო სახალხო კომისარიატის საწყობები, მღვართავების არტელი სახურსათო კომისარიატის და სახურსათო მაღაზიის მუშები.

ათარბეკოვი გევორქ, კოჩაკიანი, შ. ხუდაგოვი კონსტ., პეშკო კაზიმირ,—კომუნისტები.

კანდიდატები. ოქრუაშვილი—ახ. კომ. კავშ. წ., კაშია—უპარტიო, ისკანდაროვი—კომუნისტი, დავიდოვი არმინკა—უპარტიო.

სახალხო შემაერთებელი კავშირი.

ათარბეკოვი გიორგი, მუსიევი, ბეოგეჭრი გიორგი, კუპრავა რომანი, დუდაევი არტემი, ფურცელაძე ალექსანდრე, პურიაშვილი, ჩოდრიშვილი, დუმბაძე ივანე—კომუნისტები.

კანდიდატები. კანცელაკი ოლღა—უპარტიო, ვერმანი მიხეილ—უპარტიო თანამგრძნობი კ. პ.

1. მე-2, მე-3 და მე-4 რაიონულ მილიციის, დაწესებულების, თვითმართველობის და რეზერვის თანამშრომლები.

1) დოლიძე იპოლიტე—კომუნ., 2) ძირაძე ალექსანდრე—კომ., 3) მელაშვილი დავითი—მემარც. სოც. ფედ.

კანდიდატები: 1) ვანაია—უპარტ.

სახალხო კვების კავშირი.

ნავრუზოვი—კომუნ., არჩვაძე—უპარტ., ურშაძე, გოგიტაშვილი, ტაბიძე—კომუნისტები. რაზმაძე—უპარ.

კანდიდატები: ჯიქია ვალ., დანილოვი—კომუნისტები.

უმუშევარ მკერვალების შორის.

საპატიო წევრათ არჩეულია ამხ. კოლონტაი.

ზავარიანი—კომუნ., თუმანიშვილი—უპარტიო, ტერუნოვი—კომუნ.

კანდიდატები: რაზმაძე—კომუნ., კოროპკა—კომუნისტი.

გმა, რომელმაც ყრილობას მისალმა დანიის სოციალისტური პარტიის სახელით, შეიტყო იმ ქვეყანას, სადაც ჟურნალისტების მკვლელობა და ცემა ჩვეულებრივ მოვლენად გადაიქცა და სადაც სოციალისტურ და მუშათა მოღვაწეების გვამებს წყალში ჰყრიან, მაშინ პოლიციის წარმომადგენლებმა განაცხადეს ენერგიული პროტესტი, ადვილად იცნეს რა ამ დახასიათებაში ჰუნგრეთი.

ეჭვს გარეშეა, რომ მხოლოდ უცხოელი სტუმრების დასწრებამ გადაარჩინა ყრილობა დათხოვისაგან პირველ დღესვე მეორე ინტერნაციონალის სახელით პირველ სხდომაზევე გამოვიდა ვანდერველდე სიტყვით, რომელშიაც მოითხოვდა ჰუნგრეთის მთავრობისაგან ამნისტიას პოლიტიკურ პატიმრებისათვის, რომელნიც სრულიად უდანაშაულოდ იტანჯებიან ციხეებში. უცხოელ სტუმრების მისალმებათა მოსმენის შემდეგ, ყრილობა გადავიდა ჰუნგრეთის საშინაო პოლიტიკის პრობლემათა განხილვაზე და მთელ რიგ რეზოლუციებში დაადგინა წარმოებულ იქნას ენერგიული ბრძოლა ჰუნგრეთში შემოღებულ საალყო წესების წინააღმდეგ.

ცალკე დელეგატების სიტყვებიდან გამოირკვა მუშათა მოძრაობის მდგომარეობა ჰუნგრეთის პროვინციებში მუშათა მოძრაობა იზრდება და ფართოვდება, მიუხედავათ იმ ზღუდეებისა, რომელიც აღმართა ხორტის მთავრობამ ჰუნგრეთის მუშათა კლასი თავს ახწევს არა მარტო ეკონომიურს, არამედ პოლიტიკურს დაქვეითებასაც. რომელი მან უკანასკნელ დროს განიცადა.

ამიერ კავკასიის ფედერაციაში

აზერბეიჯანი

ოქროს სესხი

ოქროს სესხის ობლიგაციების მიღების დღეს, აზერბეიჯანის ნავთის კომიტეტის კომერციულ სამმართველოს თანამშრომლებმა შეაგროვეს ერთბაშათ რამოდენიმე ათასი მანეთი ოქროთი

აზერბაიჯანის ნავთის კომიტეტის უფროსმა ობლიგაციების მყიდველებს მისცა შეღავათი ფულის შემოტანის ოთხი თვის განმავლობაში წარმოების სახით.

სომხეთი

მუშათა ფაკულტეტი. მუშათა ფაკულტეტში ჩარიცხვის გამოცდა დამთავრებულია გამოცდილ იქნა 234 მუშა.

ჰუთ მუშებისთვის მუშა-მოსამსახურეთა მოთხოვნილებების დასაკმაყოფილებლად სასურსათო კომისარიატი ყოველ დღიურად აძლევს ერევნის პროფესიონალურ კავშირებს 450 ფუთ. პურს, სულ 4 ნახ გირ. ანგარიშით.

სახელმწიფო მუზეუმში ერევნის სახელმწიფო მუზეუმის გასაფართოებლად უკანასკნელს ეთმობა სამეურნეო საბჭოს შენობის ნაწილი.

საქართველო

აჭარა

სავალდებულო სწავლება. ქობულეთის აღმასრულებელმა კომიტეტმა შეამჩნია რა საგრძნობი შემცირება მოსწავლეთა რიცხვი, დაადგინა გამოაცხადოს მაზრაში ბავშვების სავალდებულო სწავლება.

კომისართა საბჭოს პრეზიდიუმი. კომისართა საბჭოს უკანასკნელ სხდომაზე მოხდა ახალ პრეზიდიუმის არჩევნები. პრეზიდიუმში შევიდნენ ამხ. ხიმშიაშვილი, ტავბერიძე და ს. ლორთქიფანიძე.

პარტიული ცხოვრება:

საქართველოს კომპარტიის ტფილისის კომიტეტი წინადადებას იძლევა 19 იანვარს

ერთიან პარტიულ დღეს

გარდა საკითხისა საერთაშორისო მდგომარეობის შესახებ, დამატებით დასვან საკითხი ამიერ-კავკასიის ცენტრ. აღმასრულებელ კომიტეტის სესიის შედეგების შესახებ, გაზეთებში მოთავსებულ მასალების მიხედვით.

ტფილისის კომიტეტის მდივანი მიხ. კახიანი.

მოწოდება

პარტიის ისტორიის კომისიისა

ამხანაგებო!

პარტიის ისტორიის შესასწავლად და რევოლიუციონური წარსულის მასალათა შესაკრებათ საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტთან დაარსდა პარტიის ისტორიის კომისია. კომისია, დასახულ მიზნის მისაღწევად იწყებს ყოველ თვიურ ჟურნალის გამოცემას „რევოლიუციის მატიანე"-ს სახელწოდებით (ქართულად და რუსულად). „რევოლიუციის მატიანეში" ადგილი დაეთმობა ისეთ მასალებს, რომლებიც მომთხრობელი და სწორი აღმნუსხველი იქნება განვლილი ხანების რევოლიუციონურ მოძრაობისა და ღირსშესანიშნავ რევოლიუციონურ მომენტებისა. „რევოლიუციის მატიანემ" უნდა შესძლოს საქართველოს მდიდარი რევოლიუციონური წარსულის ყოველმხრივ დასურათება და რევოლიუციის ენაზე, მისი ყველა მაგალითების გადმოშლა; „რევოლიუციის მატიანემ" უნდა მისცეს ახალი ქვეყნის საშენებლად ჩაბმულ მშრომელ ხალხს რევოლიუციისა და მისი ხელმძღვანელი პარტიის გაშუქებული ისტორია.

საქართველო, პეტერბურგ-მოსკოვის შემდეგ წარსულ რევოლიუციების ისტორიებიდან რუსეთში რევოლიუციის ერთ-ერთ აკვნად ითვლება: თბილისი, ბათომი, გურია, ჭიათურა, ქუთაისი მეტად მდიდარია მშრომელი ხალხის რევოლიუციონური გამოსვლებით, რევოლიუციით წარმოშობილ თვალსაჩინო გმირებით და მასწავლებელ-ბელადებით. ამ ბრძოლას მეფე ნიკოლოზის დროს არა ათეული და ასეული ამხანაგები დაუცია ძირს განგმირული.

საქართველოში ბრძოლა მონარქიულ-ბურჟუაზიულ ქვეყნის წინააღმდეგ დაიწყო 80-90 წლებიდან.

მშრომელმა ხალხმა უნდა იცოდეს, თუ რა ამოძრავებდა, რა ამოქმედებდა და ამოქმედებს დღესაც ბრძოლის და პასუხის-მგებლობის ამ მძიმე პირობებში რევოლიუციის ძველ გვარდიას.

ამიტომ პარტიის ისტორიის კომისია მოუწოდებს რევოლიუციის ყველა მონაწილეთ მოგვაწოდონ ყოველგვარი წერილობითი საბუთები რევოლიუციონურ მუშაობის შესახებ; პირადი მიწერ-მოწერა, ვრცელი მოგონებები და ვისაც კი მოეპოვება მდიდარი ბიოგრაფიები რევოლიუციონერებისა; აგრეთვე საკუთარი ავტო-ბიოგრაფიებიც.

სასურველია მოგვაწოდონ დახოცილ რევოლიუციონერების ფოტოგრაფიული სურათები მოკლე ბიოგრაფიებით.

პარტიის ისტორიის კომისია.

„რევოლიუციის მატიანე"-ს რედაქცია იმყოფება საქარ. კომუნ. პარტიის ცეკას შენობაში. ყოველი მასალა უნდა გადაეგზავნოს იქვე, ს. თალაკვაძის სახელზე.

ანგარიში ტყიბულის რაიპარტკომის მუშაობისა 1922 წ. განმავლობაში.

I. **საორგანიზაციო მუშაობა.**

საქართველოს გასაბჭოებამდე ტყიბულის რაიონში ჩვენი ორგანიზაცია სუსტი იყო; არსებობდა უჯრედი მხოლოდ მაღაროებში, მაგრამ აქაც არ იყო სისტემატიური მეცადინეობა და მას არ ჰქონდა სათანადო კავშირი სამაზრო კომიტეტთან. უმრავლესობა ამხანაგებისა აქ არის 1919—20 წლის სტაჟით. გადატრიალების პირველ დღეებში, ვიდრე პირველი ხელახალი რეგისტრაცია მოხდებოდა, ჩვენი მუშაობა ვერ იყო აქ ჯეროვან დონეზე დაყენებული. რაიკომს უჯრედებთან და უჯრედებს რაიკომთან არავითარი კავშირი არ ჰქონდათ და მუშაობდენ ერთმანეთისა და სამაზრო ცენტრისაგან დამოუკიდებლად. ამას ბოლო მოუღო პირველმა ხელახალმა რეგისტრაციამ, რომლის შემდეგაც დამტკიცებული იქნენ პარტიის წევრებით 25 ამხანაგი და დანიშნულ იქნა სარაიონო კომიტეტი; შემოწმებული 25 ამხანაგები განაწილებულ იქნენ ოთხ კომუჯრედში; როგორც უჯრედიდან, ისინი ყველა თემებში და მნიშვნელოვან რაიონულ ცენტრებში დავაარსეთ თანამგრძნობთა წრეები, რომლებშიდაც ჩავრიცხეთ ხელახალი რეგისტრაციაში გაუტარებელი და დანარჩენი პარტიაში შესვლის მსურველი ამხანაგები. ამნაირათ რაიონში 1922 წ. პირველი იანვრისათვის იყო 4 კომუჯრედი და 8 თანამგრძნობთა წრე. რომ რაიკომი მჭიდროდ დაკავშირებული ყოფილიყო უჯრედებთან და წრეებთან, ჩვენ პირდაპირ უჯრედებში გვყავდა ტყიბულიდან დანიშნული ამხანაგები, რომლებიც ხელმძღვანელობდნენ ადგილობრივ მუშაობას.

წრეებში ჩვენ ისეთსავე პროგრამულ მეცადინეობას ვაწარმოებდით, როგორც ნამდვილ კომუჯრედებში. პირველად გავატარეთ „კომუნიზმის ანბანი", შემდეგ „ბუხარინის პროგრამა" დავიწყეთ და ეხლა ვმეცადინეობთ „პოლიტიკურ ანბანით". მაგრამ საერთოთ სოფლის უჯრედებში პროგრამის გავლა სიძნელეს წარმოადგენს. ჩვეულებრივი კრებები მოხსენებების გაკეთებას და სხვა და სხვა საქმიანურ კითხვების გადაჭრას უნდება და პროგრამის გასავლელად ერთის დროც აღარ რჩება და მეორე—ეს ძალიან ძნელი შესათვისებელია ამხ. გლეხებისათვის. ცოცხალი და შინაარსიანი მოხსენების კეთებას, საბჭოთა ხელისუფლების კანონების და დეკრეტების გაცნობას, საქმიანური კითხვების გარჩევას და სხვა ასეთებს სათანადო ყურადღებით ეპყრობიან სოფლელი ამხანაგები და კარგათაც ითვისებენ, ამიტომ უმთავრესათ ამას ექცეოდა ყურადღება საანგარიშო დროის განმავლობაში. უჯრედებში და წრეებში კეთდებოდა მოხსენებები დღის წესრიგში წამოჭრილ მნიშვნელოვან კითხვებზე. ამა თუ იმ საკითხზე აგიტაცია პირველად ტარდებოდა უჯრედებში და იქ კარგად გაშუქების შემდეგ გადაგვქონდა უპარტიო მასაში. დიდი ყურადღება ექცეოდა უჯრედების, საჯარო, ღია კრებების მოწვევას და ამას კარგი ნაყოფიც მოაქვს. ასეთ კრებებზე მრავლათ ესწრება უპარტიო მუშები და გლეხები და ფართოდ შუქდება ყველა მნიშვნელოვანი კითხვები.

მაისამდე თანამგრძნობთა წრეებში ირიცხებოდა 150-დე კაცი, მაგრამ მაისში მომხდარი გაწმენდის შემდეგ დარჩა მხოლოდ—110 ამხანაგი. აგვისტოში კი მოვახდინეთ თანამგრძნობთა წრეების ლიკვიდაცია; ყველა ისინი, რომლებმაც დაგვიმტკიცეს საბჭ. ხელისუფლებისადმი ერთგულება და გამოიჩინეს კომუნისტური მსოფლმხედველობა, მიღებულ იქნენ პარტიის კანდიდატებათ. ამის შემდეგ ჩვენს რაიორგანიზაციაში ირიცხებოდა 19 წევრი და 51 კანდიდატი, სულ 70 ამხანაგი; მათგან შევადგინეთ ოთხი უჯრედი: 1) მაღაროებში, 2) დ. ტყიბულში, 3) ხრესილში და 4) კურსებში. ამ დრომდე ჩვენი რაიკომი იყო დანიშნული და არა არჩეული. რადგან ორგანიზაციაში ირიცხებოდა 30 ზე ნაკლები ამხ., პარტიის ნამდვილი წევრი და კანდიდატი.

ამ დროს კი, როდესაც უკვე ჩვენთან 70 წევრი და კანდიდატი იყო, მოვიწვიეთ სარაიონო კონფერენცია 1922 წლის 18 სექტემბერს და არჩეულ იქნა რაიონული კომიტეტი. ეს კომიტეტი მუშაობდა ნოემბრამდე.

პარტიის ხელმეორედ გაწმენდის შემდეგ ყველა ზემოხსენებული კანდიდატები მექანიკურათ გამორიცხნენ პარტიიდან. ნამდვილი წევრი დარჩა—მხოლოდ 13. ამიტომ ნოემბერში სარაიონო კომიტეტი მოხსნილ იქნა და პარტიულ სამუშაოთ დაინიშნა ამ რაიონში ერთი ინსტრუქტორი.

ამნაირად ჩვენ გვაქვს ეხლა ერთი უჯრედი, რომელშიდაც ირიცხება 13 ამხანაგი. უჯრედის ბიურო ხელმძღვანელობს პარტიულ მუშაობას მთელი რაიონის ფარგლებში. მექანიკურად გამორიცხული კანდიდატებისაგან შევადგინეთ პოლიტ. წრეები, სადაც იგივე ჩვეულებრივათ მიმდინარეობს მეცადინეობა. ასეთი წრე გვაქვს დღეს სულ ოთხი და მათში ირიცხება 49 ამხანაგი.

რომ ყველა საბჭ. ორგანოებთან უჯრედებს შესაფერი დამოკიდებულება ჰქონოდათ, ამას შესახებ ჩვენ ძლიერ ხშირად ვიკეთებდით მოხსენებს უჯრედების სხდომებზე და კიდევაც დამოკიდებულება ყველა ორგანიზაციებთან კარგია. თუ კი როდისმე ჰქონდა ადგილი სხვის საქმეში ჩარევას და გაუგებრობას, ჩვენ ვღებულობდით დაუყოვნებლივ ზომებს მდგომარეობის გამოსასწორებლად.

ამ წელში მოვაწყეთ: პრეზიდიუმის სხდომა—23. გაირჩა 58 კითხვა; მათ შორის: საორგანიზაციო—82, აგიტაცია პროპაგანდის შესახებ—2 სხვა და სხვა მიმდინარე—24. პლენუმის სხდომა იყო—22.

გაირჩა—84 კითხვა; მათ შორის: საორგანიზაციო—35, აგიტაცია-პროპაგანდის შესახებ—5 და სხვა და სხვა მიმდინარე—44.

გაერთიანებული პარტიული კრებები მოეწყო სულ—25. მათზე გაკეთდა მოხსენებები: მუშათა და გლეხთა საბჭოების არჩევის შესახებ, მიმდინარე მომენტზე, გენუის, ჰააგის, ლოზანის და მოსკოვის კონფერენციებზე. პროფკავშირების, მილიციის, მუშკოპის და შრომის განყოფილების მუშაობის შესახებ და მრავალი სხვა აგრეთვე ირჩეოდა სხვა და სხვა კითხვები.

ხანგამოშვებით ვიწვევდით უჯრედების და წრეების მდივნებს თათბირს, სადაც ირჩეოდა საკითხები: 1) რაიკომის მოქმედება, 2) უჯრედების მუშაობა, 3) ორგანიზაციული და 4) სხვა მიმდინარე კითხვები. 1922 წელში ასეთი თათბირი მოეწყო სულ ოთხჯერ.

მოეწყო მუშების საერთო კრებები—15

გლეხთა კრებები—21.

მიტინგები—35-დე.

კრებებზე და მიტინგებზე გაკეთდა სხვა და სხვა მოხსენებები და ჩატარდა კამპანიები.

კამპანიების ჩატარების და დღესასწაულების გადახდის დროს მოვაწყეთ სპექტაკლ-მიტინგები—8.

იყო აგრეთვე პროჟექტორის სურათების ჩვენება.

იაჩეიკას ღია კრებები იყო—23, რომელზედაც ესწრებოდა უპარტიო ხალხი.

შაბათობა მოეწყო—4. სამხედრო მეცადინეობა სისტემატიურათ სწარმოებს. პარტმობილიზაციაზე ამხანაგები ყველანი თავის დროზე გამოცხადდნენ.

წერა-კითხვის უცოდინარნი ორგანიზაციაში არ გვყავს. გამოვიწერეთ და დავუგზავნეთ უჯრედებს და წევრებს სხვა და სხვა საქმეების შესახებ—22 ცირკულიარი.

ივლისში დავაარსეთ სამეცადინო წრე (პროპაგანდისტთა კოლეგია), რომელშიდაც ირიცხება—10-დე ამხანაგი. სხდომა იყო—18. გაირჩა საკითხები:

1) გენუა-ჰააგის კონფერენცია, 2) ესერების პროცესი, 3) ოქტომბრის რევოლიუციის 5 წლის თავი და კომინტერნის „მეოთხე კონგრესი და სხვა.

გავიარეთ: ა. ბოგდანოვის პოლიტიკურ ეკონომიას; გავათავეთ მისი პირველი ნახევარი.

საერთოთ რაიუჯრედების და პოლიტ. წრეების კრებები სისტემატიურათ იმართება და მეცადინეობა შესაფერ დონეზეა დაყენებული.

ტყიბულის რაიპარტინსტრუქტორი პ. ჭყუბლაძე.

(შემდეგი იქნება)

პატარა ფელეტონი

ჩემი ნადირობა.

ჩემს დღეში არ მიფიქრია ორ რამეზე—კამისრობაზე და ნადირობაზე.

მიუხედავათ იმისა, რომ მუდამ დიდი ფანტაზიის კაცი ვიყავი,—ამნაირი ფანტაზია არასდროს არც ძილში და არც სიცხადეში თავში არ მომსვლია.

მაგრამ სინამდვილეში კი ერთიც და მეორეც გამოვსცადე.

სიბერემდე სიქაჩლეს ელოდეო,—ამბობს ანდაზა.

სიქაჩლის რა მოგახსენო,—ას-ოცი წელიწადი რომ ვიცოცხლო, ჩემი თავიდან თეთრი თმა მაინც არ ჩამოცვივა,—მაგრამ კამისრობაზე და ნადირობაზე უარისი ნურაფერი შემყარის განგებამ ჩემს სიცოცხლეში.

და აი რატომ.

ერთ მშვენიერ დღეს გამომიცხადეს: გეყოფა ამდენი ტანჯვა-წვალება ბნელ სარდაფში, ამოდი აწი ზემოთ—უზრუნველყოფის კამისრათ უნდა დაგნიშნოთო.

კარგი და პატიოსანი,—გავხდი უზრუნველყოფის კამისარი.

სახელს სახრავიც უნდა,—უზრუნველყოფის კამისარი თუ ხარ—ვინმე ხომ უნდა უზრუნველჰყო?

მე ჩემთვის რა მქონდა—სხვას რას მივცემდი.

მამაჩემისგან მეოთხედი ქცევა მიწა მაქ და ისიც ჯერ ჩემი არ არის—თვითონ ცოცხალია და ამ მიწით ირჩენს თავს.

მივმართე, სადაც ჯერ იყო,—მომეცით რამე უზრუნველყოფისათვის დასარიგებლათ მეთქი.

მოცლილი ხომ არ ხარ შენო,—მითხრეს,—დასარიგებელი რომ რამე გვქონდეს, განა ჩვენ თითონ კი ვერ დავირიგებთო! შენ თუ შეგიძლია ისე, რამე ნაირათ, ტკბილი სიტყვებით შეაქცევიე თავიო!

მეც ვაპურე მუქთი საკენკით ზებრები, მაგრამ ომებში დასახიჩრებულმა დელიკანდეებმა არ მოიტყუილეს თავი ასე ადვილათ და ისეთ სტრატეგიის გამიმართავდენ მისაღებ ოთახში, რომ იძულებული ვიყავი ხშირათ დამეხია უკან კუთხის კარებიდან.

დიდი ხვეწნის შემდეგ, როგორც იყო გამათავისუფლეს ამ ვაი-ვაგლახიდან, მაგრამ მითხრეს: შენ ნახევრათ მუშა, ნახევრათ გლეხი და ნახევრათ ინტელიგენტი ხარ და ამიტომ მიწათ-მოქმედების კამისრის თანამდებობაზე გამოდგებიო.

ვიფიქრე, ამაზე ადვილი საქმე რაღაა: ვისაც ბევრი მიწა აქ—იმას წავართმევ და ვისაც ცოტა—იმას მივცემ მეთქი.

ასეც ვშვებოდი.—ამიტომ ზოგი მადლიერი და ზოგი უმადური მყავდა, მარა არავის არ მეშინოდა და ერ ხელნათ კამისრულათ ვკამისრობდი.

მაგრამ უცებ სადღაც რაღაცა წყდა და ჩემი საკვდარო ქვეყანა შეიძრა.

ერთ მშვენიერ დღეს გამომიცხადეს, რომ მიანებე თავი ყველაფერს და გაიწი საჩქაროთ მუღანის ველზე.

რატომ, რისთვის, რა უნდა ვაკეთო მუღანის ველზე მეთქი.

იქ გეტყვიან, რაც უნდა აკეთო.

საბურთალოდან ახალ გადმოფრენილ კრუხივით გაბენტერებული დავდიოდი და ვეკითხებოდი ამხანაგებს, სად იყო ეს მუღანის ველი და რა ამბავი დატრიალდა იქ, რომ ასე საჩქაროთ ჩემი წასვლა აუცილებელი შეიქნა მეთქი.

ზოგი მეუბნებოდა, რომ მუღანის ველი გადაჭიმულია აზიის და ევროპის საზღვარზე. იქიდან სერუ ბაგდატიევი უთხრის ძირს აზიის დესპოტიას, გაჰყავს რა უზარმაზარ არხი, რომლითაც უნდა წალეკოს სპარსეთის და ინდოეთის ბურჟუაზია. შენ, როგორც კონსპირატორული სოროების გათხრაში გამოცდილი, ალბათ ბაგდატიევის მისაშველათ გაგზავნიანო.

სხვები მეუბნებოდენ, რომ ის ვეფხვი, რომელიც ამ ხანებში მოკლულ იქნა თფილისის მიდამოებში, მზრავათ იყო გამოქცეული მუღანიდან; ვეფხვების მთელი ჯოგებით მოფენილია მუღანის მინდვრები და მოსალოდნელია მათი ჩვენკენ შემოსევა.

აუცილებლათ საჭიროა ვეფხვების ჯოგებთან იქვე ადგილობრივ შეგარი ბრძოლა და ამ ბრძოლის ხელმძღვანელათ შენ განიშნავენ, რადგან როგორც მიწათმოქმედების კამისარმა, დიდი უნარი გამოიჩინე კალიებთან ბრძოლაში შარშან შირაქის ველზეო.

ორივე ეს ახსნა-განმარტება სინამდვილესთან ახლო იყვნენ, თუმცა ვერაფერი შედარება იყო იმ მინიატიურ ხვრელებსა, რომლების გაყვანაც მე მიხდებოდა არალეგალური სტამბების მოწყობის დროს, და იმ უზარმაზარ არხს შორის, რომელიც ბაგდატიევს უნდა გაეყვანა აზიის წასალეკათ, ანა და კალიებისა და ვეფხვების ჯოგებთან ბრძოლის შორის.

მონდობილი საქმე მუდამ პირნათლათ შემისრულებია—ამიტომ არ მინდოდა, რომ მუღანის ველზე შევრცხვენილიყავი.

მოვიმიზეზე, რომ ორი წლის კამისრობის დროს არც ერთხელ არ მისარგებლია შვებულებით, ამიტომ ვთხოვე წასვლამდის ერთი თვის დასვენება.

ძალიან გაუძნელდათ მოცემა, მაგრამ უარი ველარ მითხრეს, მით უმეტეს, რომ გადამწყვეტი ხმა სოვპროფის მდივანს გ. ყურულოვს ეკუთვნოდა—შრომის დაცვის ინსტინქტმა წამს გაიღვიძა მასში.

კოოპერაცია და პოლიტიკური პარტიები

კოოპერაციას ბევრი ჩვეულებრივ ისეთ სამეურნეო ორგანიზაციად სთვლის, რომელსაც არა აქვს და არც უნდა ჰქონდეს რაიმე პირდაპირი კავშირი ქვეყნის პოლიტიკურ ცხოვრებასთან.

კოოპერაცია, როგორც თავისუფალი კავშირი, აერთიანებს ყველას, განურჩევლად კლასობრივ მდგომარეობისა, პოლიტიკურ რწმენისა, ეროვნებისა და სხვა, აქედან ის დასკვნა გამოჰყავთ, რომ კოოპერაცია კლასობრიობის გარეშე სდგას და ერთნაირად იცავს ყველა თავის წევრის ინტერესებს.

ასეთ კოოპერატორების აზრით სახელმწიფოს ან პოლიტიკურ პარტიის ჩარევა კოოპერაციის ცხოვრებაში ყოვლად შეუწყნარებელია, ვინაიდან იგი უთანხმოებას იწვევს წევრთა შორის, ორგანიზაციას ასუსტებს და სხვა.

კოოპერაციის ცხოვრებიდან პოლიტიკას გამოდევნით მოძველებული კოოპერატორები ფიქრობენ დაიხსნან კოოპერატიული ერთეულები შინაგან კლასობრივ ბრძოლისაგან.

როგორც მუშებს, ისე კაპიტალისტებს—ამბობენ ისინი—ერთნაირ ინტერესებით თავის სამომხმარებლო საჭიროებათა უკეთეს პირობებში დაკმაყოფილება, ვინაიდან ისინი უწინარეს ყოვლისა არიან წარმოების პროდუქტთა მომხმარებელნი. მათ შორის კოოპერატიულ მუშაობის პროცესში—ამბობენ იგივე ისინი—არ უნდა წარმოიშვას დავა პოლიტიკურ საკითხების გამო, რომელსაც არაფერი აქვს საერთო კოოპერატიულ მუშაობასთან. კოოპერაციამ თავის ძლევამოსილ მსვლელობით კაპიტალისტურ საზოგადოების წინააღმდეგ—მათის აზრით—ბოლოს და ბოლოს ხომ უნდა განახორციელოს სოციალიზმი. ამიტომ საჭირო აღარ არის კლასობრივ ბრძოლის გაღვივება. რაკი ეს დაწყევლილი სოციალური საკითხები უმისოთ იქნება გადაჭრილი კოოპერატივებში უბრალო გაერთიანებით.

არიან ისეთი კოოპერატორებიც, სოციალისტები, წვრილ ბურჟუაზიის იდეოლოგები (მენშევიკები და ესერები), რომელნიც იმ შემთხვევაში, თუ მათ უმრავლესობა მოეპოვებათ, უარს არ ამბობენ კოოპერაციის ცხოვრებაში ჩარევაზე იმ აზრით, რომ განახორციელონ თავისი პოლიტიკური ხაზი. ისინი აშკარად გამოდიან კოოპერატიულ კრებებზე, როგორც პოლიტიკურ პარტიის წარმომადგენელნი, გამგეობებში უმრავლესობის გაყვანას სცდილობენ, შესაძლებლად სთვლიან ჯგუფურ გამოსვლებს და სხვა...

კიდევ მეტი: პოლიტიკურ ხასიათის თათბირებსა და კრებებზე ისინი არა ერთხელ გამოსულან კოოპერაციის სახელით პროლეტარიატის წინააღმდეგ, მაგრამ საკმარისი იყო, ისინი ფაქტის წინაშე დაგეყენებინათ და დაგენახვებიათ, რომ მათ უმრავლესობა არა ჰყავთ, რათა მათ უცებ ფრონტი შეეცვალათ და დაეწყოთ მტკიცება, რომ კოოპერაცია იყო და არის ისეთი ორგანიზაცია, რომელიც პოლიტიკურ მიზნებს არ ისახავს, რომ კოოპერაცია იღუპება და იშლება კოოპერატიულ ცხოვრებაში პოლიტიკურ პარტიების ჩარევით და სხვა...

მაგრამ ის, რაც შესაძლებელია იმ დროს, როდესაც მათ უმრავლესობა ჰყავთ, თურმე შეუწყნარებელია წვრილ ბურჟუაზიულ პარტიათა დამარცხების დღიდან.

ამ პარტიათა პოლიტიკურ ჩარევით კოოპერაცია ვითარდებოდა, ხოლო მუშათა პარტიის გავლენის გამო—ჩვენი მტრების აზრით—კოოპერაცია უნდა დაიღუპოს. ასეთი ლოღიკა სწორედ რომ შეეფერება იმათ, რომელნიც ისტორიამ ამ ცხოვრებიდან გარიყა.

ნება მოგვეცით ერთი ვკითხოთ: შესაძლებელია თუ არა კოოპერაციის არსებობა და განვითარება საერთო ეკონომიურ და პოლიტიკურ პირობათა განვითარების გარეშე. მართლა განსაცდელს უმზადებს კოოპერაციას მის ცხოვრებაში პოლიტიკურ პარტიების ჩარევა?

ამ საკითხების მიუდგომლად გადაჭრაზე დამოკიდებულია კოოპერაციისა და საერთოდ პოლიტიკურ ცხოვრების ურთიერთობაზე სწორი შეხედულების შემუშავება.

კოოპერაცია შრომის ყველა დარგებს ეხება და მაშასადამე, ეკონომიურ ცხოვრების ყველა კუთხეში იჭრება. არ არის მეურნეობის არც ერთი დარგი, რომლის დაყენებაც კოოპერატიულ საფუძველზე შეუძლებელი იყოს. ამის მიხედვით ჩვენ გვაქვს კოოპერაცია: მომხმარებელი, წარმოებითი, საკრედიტო და სხვა.

მომხმარებელ კოოპერაციის მიზანია—მისცეს კოოპერატივებში შეკავშირებულ წევრებს შესაძლებლობა, რომ თვით იზრუნონ საქონლის შეძენისათვის პირველ ხელიდან რაც შეიძლება იაფ ფასებში. ბაზარზე კერძო კაპიტალის ბატონობის დროს მომხმარებელი დუქანი ძლიერ მეტოქეობას განიცდის ვაჭრების მხრით, რომელნიც მიმართავენ ხოლმე კანონით „ნებადართულ" ყოველ საშუალებას იმ აზრით, რომ ჩაახშონ მყიდველთა ინიციატივა. უფრო ხშირად კოოპერაციის წინააღმდეგ ისინი შეკავშირებულნი ილაშქრებენ: საქონელს კოოპერატივებზე ნაკლებ ფასებში ჰყიდიან, მომხმარებელთა შორის აგიტაციას ეწევიან კოოპერაციის იდეის წინააღმდეგ და სხვა.

ეს გარემოება კოოპერატივებს აიძულებს, რომ კვალ და კვალ სდიონ ბაზარს, რომელიც ხელოვნურად სწევს დაბლა ფასებს. აქ ვაჭრები ნამდვილად ზარალობენ, მაგრამ როცა მიზანს აღწევენ და კოოპერატივები იკეტება, ისინი ხელახლა მაღლა სწევენ ფასებს და ძველებურად ყვლეფენ მყიდველებს. ამ გზით ახერხებენ ისინი კოოპერატიულ აღმშენებლობის ზრდის შეჩერებას, მომხმარებელ კოოპერატივებს ხომ უმთავრესად მოსახლეობის ღარიბი წრეები აარსებენ და ისიც მცირე ნივთიერ საშუალებებით. ამიტომ კოოპერაციის მტრებისთვის ძნელი არ არის, რომ წარმატებით აწარმოონ ბრძოლა, ისიც იმ დროს, როდესაც ვაჭართა რიცხვი უამრავია. ერთი კოოპერატორის გამოანგარიშებით, ევროპის ერთ-ერთ ქალაქში 70.000 მცხოვრებზე თითქმის 1.500 მედუქნე მოდის. ასეთ პირობებში ერთი ან ორი კოოპერატივი, რასაკვირველია, ეფექტს ვერ მოახდენს და ბაზარზე გავლენას ვერ იქონიებს. პოლიტიკას ისინი ჰქმნიან, ვინც ვაჭრობის სფეროში ბატონობენ. ტონს ისინი იძლევიან და პოლიტიკური ძალაც მათ ხელშია.

იქ, სადაც კოოპერატივები გარკვეულ ეკონომიურ პირობათა წყალობით კიდევ ახერხებენ ამ ბრძოლის პროცესში თავის არსებობის გადარჩენას, ვაჭრები მიმართავენ ხოლმე სხვა უფრო რეალურ საშუალებებს. ისინი მოსვენებას არ აძლევენ მთავრობას, როგორც ეს იყო ძველ რუსეთში, რომელიც მუდამ მათს სურვილს ხალისით აკმაყოფილებდა.

კოოპერატიულ აღმშენებლობის საქმეს ამ რიგად თავის მსვლელობის დროს დაბრკოლებანი ხვდებოდა ადმინისტრაციის მხრით. კრებების გამართვის ნებას არ აძლევდნენ, კოოპერატორებს აპატიმრებდნენ და სხვა...

პირველი საკოოპერაციო დუქნები რუსეთში წარსულ საუკუნის სამოციან წლებში აღმოცენდნენ. ამ დღიდან 1897 წლამდე ისინი მოქმედებდნენ იმ წესდებით თანახმად, რომელსაც შინაგან საქმეთა მინისტრი ამტკიცებდა. სამინისტროს ქინაანობაზე იყო დამოკიდებული მომხმარებელ საზოგადოების ბედ-იღბალი და ნებართვის მიღება. მთელი წლები იყო საჭირო ნებართვის მისაღებად. მხოლოდ 1897 წელს შეიმუშავა და გამოაქვეყნა მთავრობამ ეგრედწოდებული ნორმალური წესდება საზოგადოებათათვის. ამასთანავე გუბერნატორებს განსაკუთრებულ ცირკულიარით ევალებოდათ, თვალყური ედევნებინათ, რომ წესდების ყოველი მუხლი მტკიცედ ყოფილიყო შესრულებული. ამ წესდებისაგან რამე გადახვევა შეიძლებოდა მხოლოდ ადგილობრივ ხელისუფლების საგანგებო ნებართვით.

ყველა ეს იმიტომ იყო საჭირო, მთავრობისათვის, რომ ხელი შეეშალა კოოპერატივის წევრებისათვის და მათ არ შეეგნოთ თავისი ეკონომიური ინტერესები. ფაქტიურად შესაძლებლობა არ იყო ინიციატივის გამოჩენისა საზოგადოებათა დაარსების საქმეში. ეს იმ დროს იყო, როდესაც ყოველ ქალაქში და სოფლებშიაც კი სრულიად თავისუფლად ხსნიდნენ კერძო დუქნებს.

კერძო ვაჭრობის განვითარების ინტერესები მოითხოვდა, რომ მომხმარებელნი შეუკავშირებელნი დარჩენილიყვნენ. ეს გარემოება ვაჭრებს საშუალებას აძლევდა, რომ „კანონიერი" გზით მშრომელი ხალხი ეძარცვნა. რადგანაც აქ ყველაზე მეტად იტანჯებოდა მშრომელი მოსახლეობა, ცხადია, რომ კანონიც, რომელიც აფერხებდა მომხმარებელ დუქნების განვითარებას, მიმართული იყო განსაკუთრებით ღარიბთა წინააღმდეგ.

ბურჟუაზიის ინტერესების თვალსაზრისით ასეთ აკრძალვას თვითმპყრობელურ ხელისუფლების მხრით, რასაკვირველია, გარკვეული სარგებლობა მოჰქონდა, განსაკუთრებით იმ დროს, როდესაც მუშათა კლასი შეკავშირებული არ იყო დამოუკიდებელ მუშათა კლასის პარტიაში. კოოპერაციის ლეგალიზაციას შეეძლო პირობები შეექმნა მუშების თვითშეგნების განსავითარებლად, იმ მუშების რომელნიც ვაჭრებთან ბრძოლის დროს მომხმარებელ დუქნების საშუალებით იკვლევდნენ მშრომელ ხალხის უბედურობის მიზეზებს, რაც თავის მხრივ გამოიწვევდა შეკავშირებულ ბრძოლას წარმოების კაპიტალისტურ წესის წინააღმდეგ. ის, რაც კარგად ესმოდათ გაბატონებულ კლასებს, იმ დროს ვერ შეიგნეს იმ კოოპერატორებმა, რომელნიც კოოპერაციიდან პოლიტიკის გამოდევნის საჭიროებას აღიარებდნენ. მაგრამ აკრძალვა და დევნა, რომელიც პირდაპირ ეწინააღმდეგება ცხოვრების მოთხოვნილებებს, როგორც ვიცით, უკუღმა შედეგებს იძლევა. ვაჭრები, გრძნობდნენ რა ერთი მხრით ეკონომიურ სიძლიერეს და მეორეს მხრივ მთავრობის დახმარებას, უფრო და უფრო ავიწროებდნენ მომხმარებლებს. ფაბრიკა-ქარხნების ცენტრში მუშები სპეკულიანტების ხელში ცვივდებოდნენ და ღებულობდნენ უვარგის საქონელს ნისიად იშვიათ და საზღაპროდ ძვირის ფასებში.

ამაზე მუშებს ის გარემოება აიძულებდა, რომ ნივთიერი საშუალება არ მოეპოვებოდათ. უფრო ხშირად წაღებულ საქონლის ფასს წარმოების კანტორა ისტუმრებდა. აქ იშვიათი არ იყო ისეთი შემთხვევები, როდესაც გამყიდველნი მუშებს ატყუებდნენ. როდესაც ხელფასის მიღების დრო დგებოდა, ირკვეოდა, რომ მუშებს აღარაფერი ერგებოდათ. ეს კი თავის მხრით უფრო მეტად დამოკიდებულს ხდიდა მუშას იმათზე, რომელნიც განაგრძობდნენ საქონლის მიცემას ძველს პირობებში.

სოფელში ღარიბებს სძარცვავდნენ, ასე ვსთქვათ, მეორე მხრიდან. გადახდის უნარი, როგორც ვიცით, გლეხებს მხოლოდ მოსავლის შენახვის შემდეგ აქვთ. მშრომელი მოსახლეობა მთელ თავის იმედებს თავის წარმოების პროდუქტების რეალიზაციაზე ამყარებს, რაც საშუალებას აძლევს მას შეიძინოს საჭირო ინვენტარი. მოსავლის რეალიზაციამდე, როგორც ვიცით, მათ ფული ძალიან უჭირთ. ყველა ეს მშვენივრად ჰქონდათ გათვალისწინებული იმათ, რომელნიც შუამავლობას ეწეოდნენ სოფელსა და ქალაქს შორის ისინი თავის ნაცადი ხერხს მიმართავდნენ გლეხის დასამონავებლად, ე. ი. გლეხებს ნისიად აძლევდნენ საჭირო საქონელს ახალ მოსავლამდე. შემოდგომაზე გლეხებს ისღა რჩებოდათ, რომ ანგარიშს ასწორებდნენ. ამით ყველაფერი თავდებოდა.

ამ რიგად მევახშენი სოფლად თავის პირობებს უკარნახებდნენ გლეხებს, რომელთაც ისღა რჩებოდათ, რომ ამ ქვეყნის ძლიერთა მიერ შექმნილ წესებს დამორჩილებოდნენ.

ალებ მიცემობის განვითარების შემდეგ კი იცვლება თვით მოსახლეობის დამოკიდებულებაც არსებულ წესწყობილებისადმი. მუშათა და გლეხთა შორის უკმაყოფილება იზრდება არსებულ ეკონომიურ წესწყობილების გამო. იბადება იდეა გაბატონებულ პოლიტიკურ წყობილების წინააღმდეგ ბრძოლისა. ამასთანავე ერთად მშრომელთა კლასი შეკავშირებას იწყებს კოოპერატივებში. მთავრობა ერთგვარ დათმობაზე მიდის და მომხმარებელ საზოგადოებათა დაარსების ნებართვებს აძლევს.

1895 წლიდან 1905 წლამდე სამინისტროს მიერ დამტკიცებულ იქნა სულ 1031 წესდება, ხოლო 1906 წლიდან 1913 წლამდე დამტკიცებულ იქნა 10 317 წესდება.

როგორც ხედავთ, განსხვავება დიდია. მთელი ორმოცი წლის განმავლობაში მეფის მთავრობამ მხოლოდ 1.031 საზოგადოების დაარსების ნებართვა მისცა, ეს იმ დროს, როდესაც სულ რაღაც რვა წლის განმავლობაში უკანასკნელ ხანს გაცემული იქნა ათჯერ მეტი ნებართვა.

საქმე იმაში მდგომარეობს, რომ ღარიბესი წრეები ამ საკითხთან ახლოს მისვლისას იმ თვალსაზრისით კი არ ხელმძღვანელობდნენ, რომ დაეცვათ კოოპერაცია, როგორც ასეთი, რომელსაც შეეძლოს პოლიტიკურ გადატრიალებათა გარეშე კაპიტალისტურ წყობილების შეცვლა, არამედ მათ სწამდათ აუცილებლობა რევოლიუციონური ჩარევისა ეკონომიურს ცხოვრებაში იმ აზრით, რომ ხელსაყრელი პირობები შექნილიყო საზოგადოებრივ სამეურნეო ორგანიზაციათა განსავითარებლად. სწორედ 1905 წლის რევოლიუციამ მოამზადა ნიადაგი რუსეთში კოოპერაციის განვითარებისთვის.

ამ რიგად, კოოპერატიული მოძრაობა მჭიდროდ დაკავშირებულია პოლიტიკურ მოძრაობასთან და ამიტომ ყველა ისინი, რომელნიც ებრძოდნენ და ებრძვიან პარტიათა პოლიტიკურ გავლენას კოოპერაციაში, შეგნებულად, ან შეუგნებლად (ამ შემთხვევაში ეს ჩვენთვის სულ ერთია) მიდიან იმის წინააღმდეგ, რომ კოოპერაციის სფეროში მიღწეული იქნეს სასურველი შედეგები.

ავიღოთ ადგილობრივ წარმოებათა პროდუქტების გამსაღებელი სასოფლო სამეურნეო საზოგადოებანი. ასეთ ორგანიზაციათა წარმატება სავსებით დამოკიდებულია იმ საერთო ეკონომიურ და, მაშასადამე, პოლიტიკურ პირობებზეც, რომელშიაც მათ უხდებათ მუშაობა.

კოოპერატიულ პრინციპის თანახმად, ამხანაგობის წევრად შეიძლება იყოს ყველა, განურჩევლად იმისა, თუ საზოგადოების რომელ კლასს ეკუთვნის; მემამულე, გლეხი, მცირე მამულის პატრონი, ვიღაც კონტრაგენტი,—ყველა ესენი ერთიანდებიან ერთ კოოპერატიულ საზოგადოებაში სასოფლო მეურნეობის ნაწარმოებთა გასასაღებლად. ამ შემთხვევაში აუცილებელია საზოგადოებაში უთანხმოება, ვინაიდან თვითეული წევრი საკითხს იმ სოციალურ ჯგუფის ინტერესთა თვალსაზრისით უცქერის, რომელსაც თვით ეკუთვნის. ამხანაგობის ღარიბესი წრეები დაინტერესებულნი არიან, რომ ძირიან-ფესვიანად შეიცვალოს კაპიტალისტური წესი თვისი შრომის პროდუქტების გასაღებისა. საზოგადო კრებებზე ყოველ საკითხის განხილვის დრო ისინი ხელმძღვანელობენ ღარიბეს წრეთა ეკონომიურ კეთილდღეობის გაუმჯობესების თვალსაზრისით.

უფრო შეძლებულ გლეხებს და მემამულეებს კი აინტერესებს არა მარტო პროდუქტების გასაღება, არამედ ამ პროდუქტების ფასების აწევა ადგილობრივ ბაზარზე. „ჭეშმარიტი" კოოპერატორები დღემდე ამაოდ სცდილობდნენ ამ ორ მოწინააღმდეგე ჯგუფის შერიგებას. ამაოდ მიმართავდნენ წევრთა კოოპერატიულ შეგნებას, ამაო იყო მათი ცდანი, რომ ყველა და ყოველი დაერწმუნებინათ, რომ კოოპერაცია არის ძმური ორგანიზაცია, რომლის წევრთა შორის პოლიტიკური და ეკონომიური უთანხმოებანი შეუწყნარებელია. ცხოვრებას თავისი გაჰქონდა. ამიტომ პოლიტიკა, განდევნილი კარებიდან, კოოპერაციაში უკანვე იჭრებოდა ფანჯრიდან.

სხვაფრივ შეუძლებელიც იყო.

კოოპერაცია იღუპება და იშლება ადგილობრივ სახელმწიფოებრივ და საზოგადოებრივ ორგანიზაციათა დაუხმარებლად. ეს მშვენივრად ესმოდათ და ესმით იმ კოოპერატორებს, რომელნიც თავის დროზე სცდილობდნენ კონტაქტის შექმნას საერობო ორგანიზაციებთან. მხოლოდ ეს ვერ მოახერხეს მათ.

რა მიზეზით?

კიდევ და კიდევ პოლიტიკურ და არა კოოპერატიულ მიზეზების გამო. ძველი ერობა რუსეთში მემამულეთა ხელში იყო. უდიდესი ძალა თავად აზნაურობას ეკუთვნოდა, რომელიც საერობო ორგანიზაციათა საშუალებით ანხორციელებდა თავის პოლიტიკას, მიმართული ღარიბთა წინააღმდეგ. აქ უთანხმოება იბადებოდა კოოპერატიულ ორგანიზაციებთან, რომელნიც აერთიანებდნენ როგორც მემამულეს, ისე მცირე მამულის პატრონს. გლეხთა ინტერესები მოითხოვდა ცენზიან ეროვნის მოსპობას და ადგილებში ისეთ სახელმწიფოებრივ აპარატის შექმნას, რომელიც სავსებით დაიცავდა ღარიბებს. სასოფლო სამეურნეო საზოგადოებათა წევრებს, რომლებსაც გლეხები შეადგენდნენ, ძალაუნებურად უნდა აღეძრათ საკითხი ცენზიან ეროვნის პოლიტიკურ ორგანიზაციის შეცვლის შესახებ, რომელიც გაამართლებდა მცირე—მამულიან გლეხთა ნდობას. უამისოდ შეუძლებელი იყო სასოფლო-სამეურნეო კოოპერაციის ნორმალური განვითარება ღარიბთა ინტერესების მიხედვით.

გლეხთა ასეთი მოთხოვნილება დასტურებული და განმტკიცებული უნდა ყოფილიყო სოფლის მშრომელ მოსახლეობის ინტერესების დამცველ სამეურნეო ორგანიზაციათა დადგენილებებით. ეს კი შესაძლებელი იყო ყოველ შემთხვევაში არა იმ პირობებში, როდესაც კოოპერაციიდან პოლიტიკა განდევნილი იყო.

შეიძლება მოგვყავნოთ პრაქტიკიდან მრავალი საბუთი იმის დამამტკიცებელი, რომ კოოპერატიულ მუშაობას მუდამ მჭიდრო დამოკიდებულება ჰქონდა პოლიტიკურ ცხოვრებასთან და სწორედ ეს გარემოება ითხოვდა პოლიტიკურ პირობათა შექმნას საზოგადოებრივ ინიციატივის განსავითარებლად.

მაგალითად, კონსტანტინეგრადის სასოფლო-სამეურნეო საზოგადოებამ, რომელიც დაარსდა ჯერ კიდევ 1899 წელს, აპარატი შექმნა პურის პროდუქტების გასასაღებლად. ამ მიზნით მან ბეღლები ააშენა, სადაც სამი წლის განმავლობაში—1907 წლიდან 1909 წლამდე—საშუალოდ გაიარა 392.000 ფუთმა პურმა. ამ საზოგადოებამ დიდი როლი შეასრულა პურის კოოპერატიულ საფუძველზე გასაღების საქმეში. ამასთანავე უნდა აღინიშნოს, რომ საზოგადოების სათავეში იდგნენ გლეხები კი არა, არამედ მემამულენი და კონტრაგენტები, რომელნიც დაინტერესებულნი იყვნენ ფასების აწევით ადგილობრივ ბაზარზე. ადგილობრივ ბაზარზე ფასების აწევა პირდაპირ ეწინააღმდეგებოდა საზოგადოების წევრთა მეორე ჯგუფის ინტერესებს, რომელსაც [illegible]

ეროვნული ბიბლიოთეკა

და აი, ვისარგებლე რა თავისუფალი დროით, გავსწიე ბორჩალოს მაზრაში იქაური არხების სისტემის დასათვალიერებლათ და ველურ ლორებზე სანადიროთ,—ერთიც და მეორეც, როგორც გამოცდილება, გამომადგებოდენ მუღანის ველზე.

ბორჩალოელებს არ ქონდათ ჯერ გაგებული ჩემი კამისრობიდან გადაყენების ამბავი, ამიტომ ისე მიმიღეს, როგორც შეფურის ნამდვილ კამისარს.

პირველათ ყოვლისა დავათვალიერეთ გიაურ არხის სისტემა, რომელშიდაც წყალი მხოლოთ დიდი წვიმების და წყალდიდობის დროს თუ მოიპოვება, თურმე, თორემ სხვა დროს ბაყაყები წყურვილით იხოცებიან.

მივედი იმ დასკვნამდი, რომ ეს სისტემა მუღანისთვის არ გამოდგება, ისევ მალაქია ტერომეილის ახალი სისტემით გაყვანილი არხები უნდა დავათვალიერო, მარა ეს შემდეგისთვის გადავდე.

შევუდექით გარეულ ლორებზე ნადირობას. თან ისეთი გამოცდილი მონადირეები მახლდენ, რომლებსაც, მათი სიტყვით, სამას სამასი მარტო ტახები ყავდათ დახოცილი,—ნეზვების კი ანგარიშიც აღარ ახსოვდათ. გავიყოლიეთ აგრეთვე ოცდა ათამდი ადგილობრივი მუსულმანები—დამზვერავები.

მე დამიდგეს მონადირის სამფეხა სკამი ერთ ბუჩქის ძირში და დამარიგეს, რომ არ დავძრულიყავი ადგილიდან, სანამ ლორების ჯოგი სულ ახლოს არ მოვიდოდენ ჩემთან. მაშინ კი შემეძლო ამომერჩია ერთი მათგანი, რომელიც უფრო მომეწონებოდა და დამესროლა მისთვის თოფი.

თუ ნიშანში კარგათ ამოვიღებდი, აცილება ყოვლათ შეუძლებელი იყო.

ერთი გამოცდილი მონადირე ერთი მხრით მომიდგა ზორი ახლო გვერდში, მეორე—მეორე მხრით. დანარჩენები ადგილობრივ მუსულმანების თანხლებით წავიდნენ ტყეში ლორების მოსარეკათ.

შემოარტყეს ალყა და ყვირილ-ხივილით და თოფების ცემით ერეკებოდენ ჩვენკენ ლორებს, მაგრამ აღმოჩნდა, რომ თურმე ისინი ამ დროს სხვა ადგილას იყვენ წასული და ამიტომ ვერც ერთი ვერ მოდენს ჩვენთან.

ამნაირათ გავიმეორეთ რამდენიმე ადგილას, მაგრამ ლორები ყოველთვის სხვაგან იყვნენ და არა იქ, სადაც ჩვენ ვეძებდით.

საღამოზე ხელცარიელი დავბრუნდით ჩვენი მასპინძლის იუნუს-ოღლის სახლში, რომელმაც მისაყვედურა, რომ დროზე არ გავაგებინე ჩემი სანადიროთ წასვლა, თორემ ლორების მთელ ჯოგს მოადენინებდა და იმდენს დამახოცვინებდა, რომ „გრუზოვიკი" ერთ მგზავრობაზე ვერც კი წაიღებდა.

იმავე დროს იუნუსმა თათრულათ დიდი [illegible] გადაუხადა ჩვენ მხლებელ მზვერავებს, ადგილობრივ მუსულმანებს, რომ ლორი არ მომაკვლევინეს, თორემ ამეღამ მის ეზოში უნდა გდებულიყო ეს მაჰმადისაგან შეჩვენებული პირუტყვი და [illegible].

თუმცა ლორებზე ნადირობაზე ასეთი [illegible] მიყო იუნუსმა, მაგრამ სამაგიეროთ მეორე დღის კურდღლებზე ისეთი ნადირობა მოვიწყო, როგორიც არც ერთ ბურჟუაზიულ სახელმწიფოს ექსპრეზიდენტის ან ექსპრემიერმინისტრისათვის არ გაუმართავთ მათი გადაყენების შემდეგ აფრიკაში ან ავსტრალიაში გამგზავრების დროს.

ისეთი მარჯვე სროლილი გამოვდექი, რომ სამ კურდღლებში, რომლებიც მე თითონ აღმოვაჩინე ბალახებში ჩაცუცქულები, არც ერთი ცოცხალი არ გამიშვია. ადგილიდანაც კი არ დაძრულან, ისე გავაფშეკე ფეხები სამივეს.

გამოცდილმა მონადირეებმა, რამდენიც არ წამოახტუნეს კურდღლები, მაგრამ ვერც ერთს ვერ მოარტყეს თოფი.

ჩემსავით კონსპირატიულათ ვერც ერთი ვერ ეპარებოდა ბალახებში ჩაცუცქულ კურდღლებს.

სამ კურდღლებს ზედ სამი გარეული ქათმებიც მივაყოლე, რომლებიც აგრეთვე ბალახებში ჩამჯდარი დავხოცე ისე, რომ ზევით წამოფრენა არც კი ვაცალე.

ამნაირათ ნანადირევი და დიდათ ნასიამოვნები დავბრუნდი სახლში მესამე დღეს.

ჩემი დახოცილი კურდღლებისა და ქათმებისაგან გავაკეთებიე მშვენიერი საცივი და დავპატიჟე ამხანაგები ვახშამზე.

ძალიანი დროება გავატარეთ, მარა ბოლოს, როცა შექეიფიანდენ, ცოტა კი წამიხდინეს ხასიათი.

როცა უამბე ნადირობის ამბავი ლორებზე და იუნუსას ოინი,—დამიწყეს ხუმრობით სიცილი:

— იუნუსამ, ალბათ, რომ ესიამოვნებია შენთვის, დახოცილი კურდღლები და ქათმები ჩააცუცქა ბალახებში და შენ კი შენი მოკლული გგონია.

თუმცა მე დარწმუნებული ვარ იმაში, რომ კურდღლები და ქათმები ჩემი ხელით დავხოცე, მაგრამ იმ გარემოებამ, რომ ადგილიდან არ იძროდენ, მეც საფიქრებელში ჩამაგდო და ცუდ გუნებაზე დამაყენა.

თან საცივით და ღვინით ნამეტანი გავძეხი და მეორე დღეს შეუძლოთ ვიგრძენი თავი.

ექიმმა გამოკითხვის შემდეგ მხოლოთ კუჭის გასაწმენდი წამალი გამომიწერა.

გავგზავნე წამლისთვის საბჭოთა მესამე აფთიაქში, მაგრამ სამი დღის შემდეგ იქნება მზათო, შემომითვალეს.

წამლის მიღებამდი სიცხე ორმოც გრადუსამდე ავიდა. გრძნობა დამეკარგა და ბოდვა დავიწყე.

სულ ვეფხვებზე, ლომებზე, სუეცის არხზე და ასეთ რამეებზე ვბოდავდი თურმე.

გონს როცა მოვედი,—მოწერილობა მომცეს ხელში: შვებულების ვადა გათავდა და სასწრაფოთ წადი მუღანშიო, - მითვლიდენ.

რა გაეწყობა, წავიდე უნდა ბორჩალოში შეძენილ ნადირობის და არხების სისტემის გამოცდილებისამარა.

ვგრძნობ კი წინდაწინ, რომ შევრცხვები მუღანში.

ხ. თ—ძე.

ლენი შეადგენდნენ. ამ ნიადაგზე, რასაკვირველია, ხშირი იყო უთანხმოებანი და შეჯახებანი.

ამ საზოგადოების ოპერაციები მემამულეთა ინტერესებს იცავდნენ და არა გლეხებისას. ამას შემდეგი ციფრები მოწმობენ.

წელიწადი	მემ.მამულ-ნი	გლეხები	[illegible]
1906	271	200	90
1907	304	280	144
1908	249	115	58
1909	177	226	12
სულ	1001-48,5%	822-39%	304 14,5

ის საზოგადოება, რომელიც ოპერაციებს მემამულეთა სასარგებლოდ აწარმოებდა, რასაკვირველია, გლეხთა ნდობას ვერ დაიმსახურებდა. აქედან გაჩნდა კლასობრივი ბრძოლა ამხანაგობის ცალკე ჯგუფთა შორის, ბრძოლა, რომლის დამალვა და ჩაქრობაც შეუძლებელი იყო რაიმე კოოპერატიული ფრაზებით.

რაღა როლს თამაშობდენ ისინი რომელნიც სცდილობდნენ პოლიტიკის გამოდევნას კოოპერაციიდან?

ზემომოყვანილი მაგალითი მოწმობს, რომ ისინი თვითონ არ ჩარევის პოლიტიკით მემამულეებს უწევდენ მხარს, ვინაიდან მხოლოდ ამ უკანასკნელთათვის იყო ხელსაყრელი, რომ კოოპერაცია პარტიათა გავლენისაგან თავისუფალი ყოფილიყო.

ამას გარდა ისინი სცდილობდენ შეერიგებინათ ორი დიამეტრულად მოწინაამდეგე ჯგუფი, რაიც უდრის კლასობრივ ბრძოლის ჩაქრობის ცდას და მშრომელთა მტრებთან შეთანხმებას.

შინაურ კლასობრივ ბრძოლის მოსასპობად და ძმობა თანასწორობის პრინციპის ნამდვილად განსახორციელებლად, რასაკვირველია, საკმარისი არ არის ღაღადი კოოპერაციის სარგებლობიანობის შესახებ. ამისათვის საჭიროა, რომ გაბატონებულ კლასებთან ერთხელ და სამუდამოდ გაწყვეტილ იქნეს კავშირი ეკონომიკის სფეროში, მაგრამ ფართო წრეების სათანადოდ მოსამზადებლად საჭიროა ყოველდღიურ კოოპერატიულ მუშაობის დროს საზოგადოების წევრთა მიჩვევა—თავის კლასობრივ ინტერესების შეგნებისთვის და აგრეთვე შესწავლა იმ პოლიტიკურ უფლებრივ წყობილებისა, რომელშიაც მათ უხდებათ ცხოვრება და არსებობისათვის ბრძოლა. აქ გამოსადეგი არ არის ცარიელი კოოპერატიული ფრაზეოლოგია თავისუფალ კოოპერაციის დაცვის საჭიროების დასამტკიცებლად.

ფრიად საგულისხმო მაგალითს წარმოადგენს კოოპერატიულ მოძრაობიდან სენ სიმონის გამოჩენილ მოწაფის ბიუშეს გატაცება აწარმოებელ ასოციაციებით. ეს იდეა მან ფურიესგან გადმოიღო. იგი შესაძლებლად სთვლიდა თანამშრომლობის დარგში ინიციატივის განვითარების გზით კაპიტალიზმის დასამარხებას ყოველგვარ პოლიტიკურ მოვლენათა გარეშე. მთელი მუშაობა იმაში გამოიხატებოდა, რომ ამა თუ იმ დარგის მუშები ერთს საზოგადოებაში გაერთიანებულიყვნენ, სადაც არ იქნებოდა მეპატრონე და სადაც ასოციაციის თვითეული წევრი პატრონიც იქნებოდა და მუშაც. წმინდა მოგების ერთი მეხუთედი საანგარიშო წლის ბოლოს უნდა გადარიცხულიყო ეგრედწოდებულ განუყოფელ თანხაში, რომლის შექმნაც და თანდათანობითი გადიდებაც ავტორის აზრით ასოციაციის მისცემდა სათანადო სიმტკიცეს და ძლიერებას; საზოგადოებისათვის საჭირო თანხა შეიძლებოდა მისცემოდათ სახელმწიფოსაგან და ან ასოციაციის იდეის თანამგრძნობ კერძო პირებისაგან. ამ გზით ბიუშე ჰფიქრობდა ეკონომიურ გადატრიალების მოხდენას და კაპიტალისტურ ქვეყნის ცალკე წევრთა შორის კერძო ეკონომიურ ინტერესის მოსპობას. აქ გეგმამ თავის დროზე საფრანგეთის მუშათა ყურადღება მიიქცია 1848 წლის შემდეგ რევოლუციონურმა მთავრობამ ასოციაციის მეთაურთ განსაზღვრული თანხა მისცა. აღმოცენდნენ საზოგადოებანი, დაარსებული სახელმწიფოს ნივთიერ საშუალებებით, მაგრამ ჩქარა, რამდენიმე უახლოეს წლის განმავლობაში ამ საზოგადოებათა დიდ უმრავლესობას უნარი არ აღმოაჩნდა არსებობის გასაგრძელებლათ.

(დასასრული იქნება).

ა. ერქომაიშვილი.

ეკონომიური ცხოვრება

საქართველოს უმაღლეს სამეურნეო საბჭოს ცენტრალურ სავაჭრო სამართველოს და რუსეთის უმაღლეს სახალხო სამეურნეო საბჭოს სავაჭრო განყოფილებას შორის დაიდო ხელშეკრულება, რომლის ძალითაც საქონლის ყიდვა-გაყიდვას და ყოველგვარ სავაჭრო ოპერაციებს საქართველოს საზღვრებში (აჭარისტანის გამოკლებით) რუსეთის სავაჭრო განყოფილება აწარმოებს საქართველოს ცენტრალურ სავაჭრო სამმართველოს საშუალებით, რომელიც ითვლება საქართველოში ცენტრალურ სავაჭრო განყოფილების ერთად-ერთ წარმომადგენლათ თავის მხრით ცენტრალური სავაჭრო სამართველო საქონლის ყიდვა-გაყიდვას ამიერ-კავკასიის გარეშე აწარმოებს ცენ. სავაჭრო განყოფილების საშუალებით, რომელიც ამგვარად ც. სავაჭრო სამართველო ერთად-ერთ წარმომადგენლად ითვლება რუსეთში.

ამით ორივე მხარე კარგავენ უფლებას ხელშეკრულებაში აღნიშნულ ადგილებში რაიმე სავაჭრო ოპერაციები უერთმანეთოთ, მესამე პირის ან სხვა დაწესებულების საშუალებით აწარმოონ.

გასასაღებელ და შესაძენ საქონელთა შერჩევა ხდება ორთავე მხარის ურთიერთ შეთანხმებით. სასყიდლის და ყოველგვარ ხარჯების მაგიერ, რომელნიც დაფარული არ იქნებიან მეორე მხარისაგან, ორთავე მხარე აძლევენ ერთმანეთს გადაპრუნებულ საქონელთა ჯამის 3 ნახევარ პროცენტს. ანგარიშების გასწორება ორივე მხარეს შორის ხდება ყოველთვიურად.

ც. სავაჭრო განყოფილებას ევალება წესიერად და თავის დროზე მიაწოდოს ც. სავაჭრო სამართველოს ცირკულიარები, სავაჭრო ბიულეტინები და სხვა გამოცემანი. ც. სავაჭრო სამართველომ თავის მხრით კვირაში ერთხელ მაინც უნდა აცნობოს ც. სავაჭრო განყოფილებას თბილისის სავაჭრო სავალუტო ბირჟის საბაზრო ფასები, მრეწველების, სასოფლო მეურნეობის და ნედლ პროდუქტებზე არსებული მოთხოვნა-მიწოდების მდგომარეობა. ხელშეკრულების ძალაში დარჩენა განისაზღვრება 6 თვით.

ქრონიკა

საქ. სახ. მეურნეობის უმაღლეს საბჭოში

— **დადგენილება.** საქართველოს ს. ხ. მეურნეობის უმაღლეს საბჭომ გამოსცა დადგენილება რესპუბლიკის სამრეწველო ცხოვრების მოსაწესრიგებლად, სანამ საამისოთ შესაფერი კანონმდებლობა შემუშავდებოდეს.

— **ახალი პრეზიდიუმი.** საქ. სახ. მ. უმაღლეს საბჭოში დამტკიცებულ იქნა ახალი პრეზიდიუმი შემდეგი პირებისაგან: თავმჯდომარეთ ამხ. ბვაქოვი, წევრებათ: ამხ. კანდელაკი, პოლოსოვი, არეშიძე და ბორკონი.

— **ახალი დებულებანი.** ს. ს. მ. უ. საბჭომ დაავალა საგანგებო კომისიას სასწრაფოთ გამოიმუშავოს ახალი დებულება განყოფილებებისა და ტრესტების შესახებ.

მიწათ-მოქმედების კომისარიატში

— **სატყეო განყოფილება.** სატყეო განყოფილებამ გადასცა განსაკუთრებული პირობებით საქ. სახალხო მეურნეობის უმაღლეს საბჭოს ტყის დამმუშავებელ კომიტეტს საექსპლოატაციოთ 1923 წლიდან ფოთის რაიონის ტყეები სივრცით 330 დესეტინა და ბაღდადის რაიონის ტყეებიდან 200 ათასი კუბიკური ფუტი წიწვიანი ხეტყის დამუშავების უფლება. სწარმოებს მოლაპარაკება ხეთის და ლენხუმის რაიონის ტყეების გადაცემის შესახებ. გადაცემული ტყეების იჯარა თვიურად უდრის დაახლოვებით 10 ათას მანეთს ოქროთი. აგრეთვე ამ ვე განყოფილებამ დასამუშავებლად იჯარით გადასცა რკინისგზის სამართველოს შულავერის რაიონისა და კახეთის რაიონში მდებარე მუხნარი ტყეები შპალების დასამზადებლათ. სწარმოებს მოლაპარაკება წინუბნის (ახალციხის მაზრა) აგარაკის გადაცემის შესახებ, რკინისგზის იჯარა უდრის 5—7 ათას მანეთს ოქროთი თვიურათ.

ქალაქის აღმასკომში.

— **ვერის ხიდის შეკეთება.** ქალაქის აღმასკომის სამშენებლო განყოფილებამ მიიღო ცხენის-წყლიდან (სენაკის მაზრა) ერთი ვაგონი ხე-ტყე ვერის ხიდის შესაკეთებლად. შეკეთება უკვე სწარმოებს და ამ თვის დამლევს დასრულდება. ვერის ხიდის შეკეთების შემდეგ განყოფილება შეუდგება 1 და 2 ავლაბრის ხიდების შეკეთებას

ჯანმრთელობ. კომისარიატში

— **აგარაკების შესახებ.** სახალხო ჯანმრთელობის კომისარიატმა შუამდგომლობა აღძრა სახალხო კომისართა საბჭოს წინაშე, რათა მას გადაეცეს რესპუბლიკის ყველა აგარაკები თავიანთი ბუნებრივი სიმდიდრით და ინვენტარით.

დამზღვევ კასაში.

— **გორის განყოფილება.** გორის დამზღვევი კასის შემოსავალი გასულ დეკემბერში იყო 96,222,500 მ. გასავალი 95,910,116 მ. პენსიონერებს მიეცათ დახმარების სახით—1,840,000 მ., სამკურნალოთ—7,470,000 მ.

რევტრიბუნალი ქართულ ჯარში.

ქართულ მსროლელ დივიზიასთან დაარსდა სამხედრო რევოლიუციონური ტრიბუნალი კოლეგიის შემდეგი შემადგენლობით: თავმჯდომარე ნიკოლოზ ენუქიძე; წევრები: კალისტრატე ჯაფარიძე, გიორგი ჯარშიაშვილი და ალექსანდრე ბუჯიაშვილი. ტრიბუნალი მოთავსდა სასამართლოს ქუჩაზე, იუსტიციის სახალხო კომისარიატის შენობაში და შეუდგა მუშაობას ა/წ. 20 დეკემბრიდან.

მილიციაში

— **მილიციის გაწმენდა.** რესპუბლიკის მილიციის გამწმენდმა კომისიამ დაასრულა მუშაობა შემდეგ რაიონებში: იორის, შორაპნის, რაჭის, თიონეთის და ლეჩხუმის. ხსენებულ რაიონებში დათხოვნილ იქნა სამსახურიდან როგორც შეუფერებელნი თანამდებობისათვის, საერთო შემადგენლობის 50 პროცენტი, ხოლო ზოგიერთ რაიონებში 90 პროც. რუისის რაიონში (გორის მაზრა) დათხოვნილ იქნა მილიციის სრული შტატი გლეხობისათვის უდიერათ მოპყრობისათვის. ახლო ხანში მილიციის გამწმენდი ცენტრალური კომისია დაასრულებს საქართველოს სხვა მხარეების გაწმენდას.

კრებები და მოხსენებები

— **განათლების მუშაკთა სახლში.** 22 იანვარს 5 საათზე ამხ. დონდუა გააკეთებს მოხსენებას ქართული ენის ქვესექციაში შემდეგ თემაზე: „დაწყებითი გეოგრაფია" (სამშობლოს აღწერა 3 ჯგუფი).

25 იანვარს საღამოს 6 საათზე ბუნების მეტყველების და გეოგრაფიის ქვესექციის სხდომა.

25 იანვარს საღამოს 6 საათზე მგალობელთა და მუსიკოსთა ქვესექციის სხდომა.

26 იანვარს საღამოს 7 საათზე შესდგება ორგანიზაციული კრება ფიზიკო-მათემატიკური ქვესექციის. ხსენებულ სხდომაზე მოწვეულნი არიან ყველა ფიზიკის და მათემატიკის მასწავლებელნი.

ორშაბათს 29 იანვარს ა—წ. საღამოს 6 საათზე „განათლების მუშაკთა სახლში" შესდგება პირველი ორგანიზაციული კრება ბავშვთა სახლების თანამშრომელთა. ყველა თანამშრომელნი მოწვეულნი არიან აღნიშნულ კრებაზე.

სხვა და სხვა.

— **მადლობის გამოცხადება.** საბჭოთა მოსამსახურეების პროფესიონალური კავშირის სეკრეტარიატი მადლობას უცხადებს იმ დაწესებულებათა და პირთ, რომელთაც უმუშევარ საბჭოთა მოსამსახურეთა ფონდის გასაძლიერებლად 16 იანვარს გამართულ საღამოს აღმოუჩინეს დახმარება როგორც მატერიალურად, ისე პირადის მონაწილეობით.

კავშირის სეკრეტარიატი ვალდებულად სთვლის თავის თავს განსაკუთრებით აღნიშნოს გულმოდგინე ღვაწლი და მონაწილეობა საღამოს დიასახლისის ამხ. ხვანიშვილისა.

ხელოვნება

— **ხელოვანთა სახლში.** შაბათს, იანვრის 20-ს ხელოვანთა სასახლეში (სერგეევის ქ. № 13) მოხსენებას წაიკითხავს გერმანიის ელჩი დოქტორ ვეზენდონკი (რედაქტორი „დოიჩე ალგემაინე ცაიტუნგისა" და ჟურნალ ახალი აღმოსავლეთის") „ახალი აღმოჩენა ტურფანში" (თურქესტანში), როგორც ვიცით ამას წინად ერთმა გერმანელმა მეცნიერმა ტურფანში აღმოაჩინა მთელი რიგი ჯერ უცნობი სანსკრიტული დრამების ხელთნაწერები, რომელსაც დიდი ნათესაობა აქვს ქართველთან, აგრეთვე ერთი პერგამენტი ჯერეთ უცნობი ენით დაწერილი; მოხსენების მოსმენა შეუძლიათ ყველას. მოხსენება გერმანულიდან გადათარგმნილი იქნება ქართულად.

— **სახალხო სახლი.** პარასკევს 19 იანვარს, პოლიტიკურ განათლების მთავარ სამართველოს ქართულ დრამატიულ დასის მიერ წარმოდგენილი იქნება მეორეთ ამ სეზონში ნ. ნაკაშიძის პიესა „ქალის სამართალი" შ. დადიანის რეჟისორობით.

— კვირას, 21 იანვარს, სახალხო სახლში პოლიტიკურ განათლების მთავარ სამართველოს ქართულ დრამატიულ დასის მიერ წარმოდგენილი იქნება მეორეთ ამ სეზონში ირეთელის პიესა „სოფლის გმირები".

— **პროლეტარულ მწერალთა ასოციაციაში.** პროლეტარულ მწერალთა ასოციაციაში, ხელოვნების სასახლეში (სერგეევის ქ. № 13) შაბათს, საღამოს 6 საათზე, შესდგება გაფართოებული კრება პროლეტარულ მწერალთა ასოციაციის საბჭოსი. უნდა დაესწრონ ასოციაციის ნაციონალური სექციები და პირები, რომლებიც დაინტერესებულნი არიან პროლეტარული შემოქმედებით. დღის წესრიგი —მოხსენება ასოციაციის ერთი წლის მუშაობის შესახებ, საორგანიზაციო კითხვები.

მუშათა ცხოვრება

მუშების და მოსამსახურეების საყურადღებოთ. კვირას, 21 იანვარს,
მუშათა სასახლის პატარა დარბაზში (რუსთაველის ქუჩა № 17)
სახალხო სასამართლოს სესია გაარჩევს შრომის კანონების დარღვევის და მუშათა ექსპლოატაციის საქმეებს.

დაიწყება დილის 9 საათზე. შესვლა თავისუფალია.

„კამოს" სახელობის თამბაქოს ქარხანაში

მიმდინარე წლის 11 იანვარს მოხდა ქარხნის მუშების საზოგადო კრება თბილისის საბჭოს არჩევნების მოსახდენათ.

მომხსენებელმა აღნიშნა რა საბჭოს ძველი შემადგენლობის ნაყოფიერი მუშაობა, მოუწოდა ამხანაგებს კვლავ მიენდონ თავის კლასობრივი ინტერესების დაცვა კომუნისტურ პარტიას.

მიღებულ რეზოლიუციაში მუშები ესალმებიან საბჭოს ახალ შემადგენლობას და გამოსთქვამს იმედს, რომ ახალი საბჭო ისე პირნათლად შეასრულებს თავის მოვალეობას მუშათა კლასის წინაშე, როგორც ამას შვრებოდა ძველი საბჭო.

მოხსენების შემდეგ ადგილობრივ კომიჩეიკის მიერ წარმოდგენილ იქნა კანდიდატთა სია, რომელიც ერთხმად იქნა მიღებული.

არჩეული აღმოჩნდნენ 3 კომუნისტი წევრად და კანდიდატებათ 1 კომუნისტი და 1 უპარტიო.

ახლად არჩეულების სახელით დეპუტატ მუშა არხიმანდრიტოვმა აღთქმა მისცა ამხანაგებს, რომ ის მთელი მისი ძალღონით შეეცდება გაამართლოს ის ნდობა, რომლითაც ის დღეს აღჭურვეს.

დეპუტატებისადმი ნაკაზის წაკითხვის შემდეგ კრება დაიხურა ინტერნაციონალის სიმღერით.

მეთამბაქოე.

მუშაობა ასეთი უნდა

ამა წლის ათ იანვარს შესდგა საქ. მუშათა და გლეხთა ინსპექციის სახ. კომ. მუშა-მოსამსახურეთა საერთო კრება. კრებას დაესწრო 140 კაცამდი.

დღის წესრიგში სდგას შემდეგი საკითხები:

1) ადგილკომის მოხსენება მისი მუშაობის შესახებ;
2) სარევიზიო კომისიის მოხსენება;
3) მუშა მოსამსახურეთა ხელფასის მომატების შესახებ და
4) არჩევნები სარევიზიო და კულტკომისიისა.

ადგილკომის მუშაობის შესახებ მოხსენებას აკეთებს ადგილკომის თავმჯდომარე ამხ. კლდიაშვილი, რომელიც აღნიშნავს თავის მოხსენებაში ადგილკომის ფრიად ნაყოფიერ მუშაობას პროფესიონალურ - ორგანიზაციულ, კულტურულს, შრომის დაცვის, სამეურნეო და სატარიფო დარგებში.

6 თვის განმავლობაში ადგილკომს მოუწვევია 7 საზოგადო კრება, სადაც გარჩეულა კოლექტიური ხელშეკრულების, დამზღვევ კასის, შრომის ნაყოფიერების აწევის და შრომის დისციპლინის საკითხები.

გამოუწერია მუშა-მოსამსახურეთათვის პროფესიონალურ ხასიათის ლიტერატურა და გაზ. „მუშა".

მოუწყვია გასულ ზაფხულის განმავლობაში ხუთი ექსკურსია მუშა მოსამსახურეთათვის ბაკურიან-ბორჯომში, მცხეთაში, კოჯორში, ორთაჭალაში და სხვა.

გაუმართავს ადგილობრივ მუშა მოსამსახურეთა ძალებით 6 საღამო საკონცერტო ვოკალურ განყოფილებით და პოლიტიკური მიტინგები.

ადგილკომს მოუწყვია მუშა-მოსამსახურეთათვის სასადილო, ფეხსაცმელების საპელოსნო, სამკერვალო და საპარიკმახერო, რომლებითაც ისინი სარგებლობენ ფრიად შეღავათიან ფასებში.

აქაურ მუშა მოსამსახურეთა მიეცათ შეღავათიან ფასებში ხალათები, პაპიროსები და სხვა.

ამავე ადგილკომს ეკუთვნის შრომის დისციპლინის სათანადო დონეზე აყვანა, მუშა-მოსამსახურეთა მიღება-დათხოვნის საკითხის სავსებით მოწესრიგება ადმინისტრაციასთან სრული თანხმობით და სხვა.

შემდეგ კრებამ მოისმინა სარევიზიო კომისიის მოხსენება ადგილკომის მოღვაწეობის შესახებ. სარევიზიო კომისია სცნობს ადგილკომის მუშაობას სრულიად დამაკმაყოფილებლად. საერთო კრება სრულებით იზიარებს სარევიზიო კომისიის განაჩენს ადგილკომის მოქმედების შესახებ და უსურვებს ამ უკანასკნელს ისევე ინტენსიურ და ნაყოფიერ მუშაობას მომავალშიც.

მასთან კრება სთხოვს კომიტეტს დარჩეს ის მთელი თავისი შემადგენლობით განაგრძოს ძველებურად თავის ენერგიული და ფრიად ნაყოფიერი მუშაობა მის მიერ დიდხნობით ნაცად გზით და მიმართულებით. კრება დიდის ტაშით ასაჩუქრებს ამხ. კლდიაშვილს, როგორც ადგილკომის თავმჯდომარეს.

შემდეგ კრება ირჩევს სარევიზიო და კულტურულ-განმანათლებელ კომისიას.

შემთხვევითი დამსწრე.

სახალხო კვების კავშირის საყურადღებოდ.

რუსთაველის ქუჩაზე, № 38 არის მოთავსებული მუშათა და გლეხთა ინსპექციის რესტორანი. რომელიც აღებული ჰქონდათ იჯარით ვინმე მამულაშვილს და გუგუშვილს. ორი პატრონი ერთ სასადილოში ვერ მოთავსდა და ამის გამო მათ ხშირათ ქონდათ ერთიმეორესთან ჩხუბი და აყალ მაყალი. ჩვენ, აქ მომუშავე მუშები ვეწეოდით უზომო შრომას და ჯამაგირი კი დღის, ხვალ, დღეს ხვალობით ხუთ თვეზე მეტია ვერ მივიღეთ. ამის გამო ჩვენ მივმართეთ კავშირს და შემდეგ შრომის ინსპექტორს, რომელთაც სასადილო დაბეჭდეს. მაგრამ მუშათა და გლეხთა ინსპექციის თანამშრომელთა ადგილკომმა სასადილოს ბეჭედი ახსნა და შიგ რაც ნივთები იყო, გაყიდა თავის იჯარის დასაკმაყოფილებლად და შენობა კი გადასცა სხვას, ახალ მოიჯარადრეს, რომელიც აწყობს შიგ ახალ რესტორანს. ჩვენ კი, ამ სასადილოს ყოფილი მუშები ეს მე-5 თვე არის უკაპეიკოდ მშიერნი ქუჩა ქუჩა დავეხეტებით. მართალია, შრომის კომისარის განკარგულებით, ჩვენი ყოფილი პატრონი დაპატიმრებულია, მაგრამ მას არაფერი აქვს და ციხე ჩვენ მუშებს ვერაფერს მოგვცემს.

საჭირო იყო იქ, სადაც ჩვენ ვმუშაობდით და ოფლს ვღვრიდით დაუზოგავად, არავის ნება არ ქონდა შიგ სამიკიტნოს გახსნისა მანამდის, სანამდი აქ ნამყოფი მუშები თავის ნაოფლარს არ მივიღებდით. სახალხო კვების კავშირმა ამას უნდა მიაქციოს ყურადღება.

მუშები: გ. გიორგაძე, ოლღა ბიბაშვილი და ალექსანდრა ხადიდიანი.

სადეზინფექციო კამერის შესახებ.

თავის საპასუხო წერილში (იხ. „კომუნ." № 13) სადეზინფექციო კამერის ადმინისტრაცია აღნიშნავს, რომ სპეცტანისამოსი კამერის მუშა-მოსამსახურეებს დაურიგდათ და ბინებიც მათი დეზკამერის შენობაში დამაკმაყოფილებელია ჰიგიენურ-ტექნიკური მხრითო.

საპასუხოდ ჩვენ უნდა ვსთქვათ შემდეგი: 1) სპეცტანისამოსი დარიგდა მას შემდეგ, რაც დაიწერა გაზეთში შენიშვნა; 2) მეეზოვეს ოთახს აქვს ფისის იატაკი, რაც არ შეიძლება ჰიგიენურად ჩაითვალოს; საჭიროა ფიცრის იატაკის დაგება.

აქ ერი.

ბიბლიოგრაფია

პროფ ს. ქურდიანი.
მეტყევეობა.
ენციკლოპედიური კურსი.
ტომი 1
სახელმწიფო გამომცემლობა.
ტფილისი 1922 წ.

ჩვენი სპეციალური ლიტერატურა მეტად ღარიბია კარგ და გამოსადეგ წიგნებით. ქართულ ენაზედ იშვიათად შეხვდებით ისეთ ნაწარმოებს რომ ელიმე სპეციალურ დარგში აკმაყოფილებდეს მოთხოვნილებებს , როგორც სამეცნიერო აგრეთვე გარდმოცემის პოპულიარობის მხრივ: უფრო სწორე იქნებოდა გვეთქვა, რომ ასეთი ნაშრომი ქართულ ლიტერატურაში თითქმის არც კი მოგვეპოვება და ყოველ ახალ ცდას იმისას, რომ შევსებულ იყოს ეს დანაკლისი დიდი სიამოვნებით უნდა შევხვდეთ.

ჩვენ წინ მდებარე წიგნი პროფესორ ს. ქურდიანისა მეტყევეობის ენციკლოპედიურ კურსს წარმოადგენს და როგორც შემდეგ ვნახავთ ტყის ცხოვრებას, შემადგენლობას და ხეების ყოველ მხრივ გამოყენებას იხილავს.

საქართველო, შეიძლება ითქვას ტყის ზონაში მდებარე ქვეყანაა და მისგან ძალიან ბევრად არის დამოკიდებული. საერთო სანახებითა თუ სარგებლობით საქართველო და ტყე თითქო მუდამ ერთად არის გადაჭდეული და ვერც ერთ სურათს ჩვენი ქვეყნისას, მცირე გამონაკლისის გარდა, ისე ვერ წარმოვიდგენთ თუ არ ტყიანად. ტყე დაღს ასვამს ჩვენ მეურნეობასაც არა მარტო პირდაპირ ტყის მეურნეობის მხრივ, არამედ არაპირდაპირაც.

პროფ. ს. ქურდიანის წიგნის გამოსვლა შესაძლებელია ერთ უმნიშვნელოვანეს მოვლენად ჩავთვალოთ ჩვენ მეტად ღარიბ სპეციალურ ლიტერატურის ისტორიაში ეს ნაშრომი, როგორც ეტყობა, სტუდენტთა, ტყის გამგეთა და შეგნებულ სოფლის მეურნისათვის სასარგებლოდ არის განზრახული და უნდა ითქვას, რომ ყველასათვის გასაგებ ენითაც არის დაწერილი.

ნაშრომი შინაარსის მხრივ შეიძლება ითქვას, ორ ნაწილისაგან შესდგება; პირველია მცენარეთა აგებულების და სიცოცხლის შესახებ ცნობები, ხოლო მეორეა ტყის მცენარეთა სისტემატიური აღწერა მათი გამოყენების მხრივ ცნობების დამატებით.

პირველ ნაწილში თავიდგან აწერილია ტყის ცხოვრება მის შემადგენელ სახეთა ერთმანეთთან დამოკიდებულება, ერთმანეთში ბრძოლა და რა მნიშვნელობა აქვს ამ ბრძოლას ან რა შედეგები მოაქვს მას.

ამის შემდეგ აღწერილია ხე მცენარეთა შინაგანი მიკროსკოპიული აგებულება და მისა გარეგანი მორფოლოგია, გასამრავლებელი ორგანოები და მემკვიდრეობა; შემდეგ ის სასიცოცხლო პირობები, რომელთაც დიდი მნიშვნელობა აქვთ როგორც მცენარის აგებულებაზედ აგრეთვე მის დედამიწის ზურგზედ გავრცელებაზე; ყურადღება აქვს მიქცეული ტყისა და მის ფაუნის ერთმანეთთან დამოკიდებულებას, ბოლოს კი აღწერილია ტყეების გავრცელება დედამიწის ზურგზედ.

ეს ნაწილი, უნდა ითქვას, საინტერესო ნაწილია ამ წიგნის. იგი ინტერესს არა მარტო ტყის სპეციალისტებისათვის უნდა წარმოადგენდეს, არამედ ყოველი ინტელიგენტი ადამიანი უნდა გაეცნოს მას, რადგანაც აქ ბევრი ისეთი საკითხებია წამოყენებული, რომელიც მცენარეთა სოციალურ ცხოვრებაზედ მოგვითხრობს, ეს კი, როგორც უკანასკნელად ვხედავთ არც ისე ძალიან განსხვავდება ცხოველთა სოციალურ ცხოვრებისაგან და მაშასადამე პრინციპიალურ განსხვავებას მცენარისა და ცხოველისა შორის დღეს ვერა ვხედავთ

მეორე სისტემატიური ნაწილი კი სპეციალურ ნაწილს წარმოადგენს, მცენარეთა სისტემატიურ აღწერას, შეიცავს და საინტერესოა უფრო ტყის საქმით დაინტერესებულ პირთათვის. ეს ნაწილიც ისევე საინტერესოდ არის დაწერილი, როგორც პირველი და შეიცავს ჯერ ერთი ხე და ბუჩქ მცენარეთა ფილოგენეტიკურ სისტემის მიხედვით დანაწყობას, შემდეგ თვითეული მათგანი დახასიათებულია მორფოლოგიურად, ნაჩვენებია ის პირობები, რომელშიაც იგი სცხოვრობს და ან ცხოვრება შეუძლიან აღწერილია მათი მერქნის ან სხვა რამ ნაწილის ღირსება, ნაკლოვანებანი, ერთი სიტყვით მცენარე ყოველ მხრივ არის აღწერილი.

ამ წიგნის ერთ დადებით მხარედ ისიც უნდა ჩაითვალოს, რომ იქ მეტად დიდი ყურადღება აქვს მიქცეული ჩვენებურ ხეებსა და ბუჩქებს მათ გამოყენებას და საერთო ღირსება ნაკლოვანებას, შემდეგ აღწერილია უცხო ქვეყნების ისეთი მცენარეები, რომელნიც ჩვენი ქვეყნის რომელიმე რაიონისთვის მაინც იქნებოდნენ გამოსადეგნი და მათი შემოტანა რაიმე მხრივ მოუტანდა სარგებლობას ჩვენ ქვეყანას, მას ტყის მეურნეობას. აღწერილია ის მცენარეებიც რომელნიც ჩვენში უკვე შემოსულან და აქ ჩვენში მეორე სამშობლო უპოვიათ. ასეთებია მაგალითად ბათუმის ოლქში და საზოგადოდ შავი ზღვის სანაპიროებში ჩვეულებრივ გავრცელებულნი და კარგად შეგუებული [illegible] crytomeria iaponica, ევკალიპტუსები, აკაციები (მიმოზა) და ბევრი სხვა. შემდეგ განმარტებულია მათი მნიშვნელობაც.

ყველა ამ დადებით მხარეებთან არ შეიძლება რამდენიმე ნაკლიც არ ავღნიშნოთ, რომლის მოშორებაც ამ წიგნს ბევრს რამეს მოუმატებდა.

პირველ ყოვლისა მცენარეთა სისტემატიურად აღწერის თავში კარგი იქნებოდა მათ სისტემაზედ საერთო შეხედულება მიეცა მკითხველისათვის, რაც უკანასკნელს ბევრად გაუადვილებდა წარმოდგენას საერთოდ მცენარეებზედ.

ხან ერთი და იგივე ტაქსონომიური ერთეული სხვა და სხვა ადგილას განსხვავებულ ლათინურ შრიფტით არის დაბეჭდილი, რაც თვალს მეტად ეჩოთირება.

ტერმინები პირველ ნაწილში დაცულია, ხოლო მეორეში ერთი და იგივე ორგანო ხან სხვა და სხვა სახელით აღინიშნება ხოლმე—მაგალთახყვავილი, ყვავილთანა და ყვავილსაფარით ხშირად ერთმანეთშია არეული.

Acer ების ქართული სახელი არეულია ხოლოდ ასეა: A campestrae—ნაკერჩხალი; A. laetium—ქორაფი, A. pseuboplatanus—ლეკის ხე, A. insigne—ბოყვ; სხვები კი იგივე რჩება როგორც წიგნშია (გვ. 390).

შემდეგ მე როგორც ბოტანიკოსი ვერას გზით ვერ დავეთანხმები მეტყევეებს ჯიშში უწოდონ იმ ერთეულებს, რომლებიც ცალკე სახეებს წარმოადგენენ მაგ. A campestrae და A. laetum აგვარ Acer, ის ჯიშებს კი არ წარმოადგენს, არამედ ეს ცალკე სახეებია. ჯიში უფრო მცირე სისტემატიური ერთეულია ვიდრე სახე.

ძნელია პიონერობა საზოგადოდ ყოველ საქმეში და კერძოთ იმისთანა საქმეშიაც როგორც არის ახალი სახელმძღვანელოს შედგენა. ახალი სახელმძღვანელო უნდა დაიწეროს ისეთ დარგში, რომელშიაც მის წინ არც ერთი სერიოზული წიგნი არ დაწერილა, მრავალი ახალი სამეცნიერო ტერმინი უნდა იქნეს შემოღებული იქ სადაც სულ უბრალო ტერმინიც კი არა ყოფილა მანამდე და ყველა ამის პირველადვე შეუცდომლად გაკეთება შეუძლებელია. ამ ნაშრომშიაც ვპოულობთ თითო ოროლა შეცდომას, მაგრამ უფრო საკვირველი იქნებოდა რომ ასეთი შეცდომები არა ყოფილიყო

გარდა ამისა ჩვენი სტამბების სამეცნიერო წიგნების ბეჭდვისთვის მოუწყობლობა მეტად აძნელებს წიგნის სასურველ სახის მიცემას.

წიგნი სუფთად არის გამოცემული და მიუხედავად იმისა, რომ ქაღალდი მაინც და მაინც კარგი ღირსებისა ვერ არის, ის 149 სურათი ამ წიგნში რომ არის შეტანილი, სრულიად კარგად არის გამოსული.

საერთოდ ამ წიგნზედ უნდა ითქვას, რომ იგი მეტად საინტერესოდ არის შედგენილი და ბევრი საინტერესო მასალა არის მოყვანილი ამის გამო იგი არა მხოლოდ სტუდენტებისათვის გამოცდების ჩასაბარებლად სახმარი წიგნი უნდა იყოს, არამედ იგი უნდა შეადგენდეს სახელდახელო წიგნს ყოველ მეტყევისა და შეგნებულ მეურნისათვის

ამ ნაშრომის გამოსვლა სრულიად დადებითი მოვლენად უნდა ჩაითვალოს და ვისურვოთ, რომ ასეთი წიგნები რაც შეიძლება მეტი იქნეს მოცემული და ეს წიგნი კი რაც იძლება მეტი გავიდეს შეგნებულ ხალხში, რომ ყოველმა ადამიანმა ნახოს, შეიგნოს და სხვასაც გადასცეს, რომ ტყეში ხან სულ ტყუილა უბრალოდ და უადგილოდ ხის მოჭრით იგი სპობს არა მარტო იმ მცენარეს, რომელიც მოსჭრა არამედ თავის ბალვენახსაც, ბუნების სილამაზეს, ჰაერის სისაღეს და ყველა ამასთან რასაკვირველია თავის კეთილ დღეობასაც.

ზ. ყანჩაველი.

წერილი რედაქციის მიმართ

მოქ. რედაქტორო!

გთხოვთ თქვენი პატივცემული გაზეთის მახლობელ ნომერში დამიბეჭდოთ შემდეგი:

1906 წლიდან მე ვმუშაობდი ს. დ. მ. პ-ში. ორი წელია რაც პარტიას ჩამოვშორდი და აქტიური მონაწილეობა მის მუშაობაში არ მიმიღია.

ამით საჯაროთ ვაცხადებ თავს პარტიის გარეშე ხსენებული პარტიის ც. კ განკარგულებებს და დისციპლინას არ ვემორჩილები. ვიზიარებ კომპარტიის კლასთა ბრძოლის თეორიას და თანაუგრძნობ მას.

ხილიბიბერო ბახილია.

ქ ფოთი. 1923 წ 15 იანვ.

მთავრობის მოქმედებანი და განკარგულებანი

დადგენილება № 70.

საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭოსი.

სასკოლო გადასახადის თაობაზე გამოცემული დეკრეტის შეცვლის შესახებ.

სასკოლო გადასახადის შესახებ—სახალხო კომისართა საბჭოს მიერ 1922 წლის დეკემბრის 20-ს თარიღითა და 15 №-ით გამოცემული დეკრეტის მე-3 მუხ. „ბ" და „გ" პუნქტებისა და მე-4 მუხ. შესაცვლელად საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

1. მუხ. 3. გადასახადისაგან განთავისუფლებული არიან:

ბ)—პროფესიონალურ კავშირის ის წევრნი, რომელთა სამუშაო სასყიდელი 1922 წლ. ნოემბერში არ აღემატებოდა: სატარიფო ქსელის 1-ლ ზოლით 3,000,000 მან., მე-2-ე ზოლით—2,700,000 მან., მე-3-ე ზოლით—2,400,000 მან. და მე-4-ე ზოლით—2,100.000 მან.

გ)—მოსწავლენი, რომელთა დამოუკიდებელი სამუშაო სასყიდელი 1922 წლის ნოემბერში არ აღემატებოდა წინა პუნქტში აღნიშნულ სამუშაო სასყიდლის რაოდენობას.

მუხ. 4. გადასახადის გამღებნი სამ ჯგუფად განიყოფებიან:

1) პროფესიონალურ კავშირთა ის წევრნი, რომელთა სამუშაო სასყიდელი 1922 წლ. ნოემბერში აღემატებოდა „გ" პუნქტში აღნიშნულ სამუშაო სასყიდლის განაკვეთს.

2) გლეხნი სოფლად და

3) ყველა დანარჩენი მოქალაქენი სოფლად და ქალაქად.

2. დადგენილება ესე ძალაში შედის დღიდან მისი გამოქვეყნებისა.

საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე მ. ორახელაშვილი.

სახალხო კომისართა საბჭოს მდივანი ალ. სალარიძე.

1923 წ. იანვრის 16.

ტფილისი—სასახლე.

დეკრეტი

საქართველოს სოც. საბჭოთა რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭოსი

1923 წ. იანვრის 15.

დაზღვევის ტარიფის ხარისხთა განაკვეთის თაობაზე—ამიერ-კავკასიის სოც. საბ. რესპ. საკავშირო საბჭოს მიერ 1922 წლის დეკემბრის 8 ს გამოცემული დეკრეტის საყოველთაო ცნობისა და აღსრულებისათვის გამოქვეყნების შესახებ.

ამასთანავე საყოველთაო ცნობისა და აღსრულებისათვის გამოქვეყნდება ამიერ-კავკასიის სოც. საბჭ. რესპ. საკავშირო საბჭოს დეკრეტი—1922 წლის დეკემბრის 8-ს თარიღითა—დაზღვევის ტარიფის ხარისხთა განაკვეთის შესახებ.

საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე მ. ორახელაშვილი.

სახალხო კომისართა საბჭოს მდივანი ალ. სალარიძე.

დეკრეტი

ამიერ-კავკასიის სოც. საბ. რესპ. საკავშირო საბჭოსი

1922 წ. დეკემბრის 8.

დაზღვევის ტარიფის ხარისხთა განაკვეთის შესახებ.

სოციალური დაზღვევის შესახებ—საკავშირო საბჭოს მიერ 1922 წლის აგვისტოს 23-ის თარიღით გამოცემული დეკრეტის განსავითარებლად საკავშირო საბჭომ დაადგინა:

დაწესებულ იქნეს ამიერ-კავკასიის ყველა რესპუბლიკებში სოციალური დაზღვევის გადასახადის შემდეგი განაკვეთი:

1. კერძო, კოოპერატიულ, საზოგადოებრივ საკონცესიო, საიჯარო წარმოებასა, დაწესებულებასა და მეურნეობასა, და აგრეთვე იმ სახელმწიფო წარმოებისა და დაწესებულებისათვის, რომელიც მთლიანად ან ნაწილობრივ გადაყვანილია სამეურნეო ანგარიშზე, ან და მიწერილია ადგილობრივ სახსარზე:

ა) დროებითი უნარის უქონლობისა, დედობისა და დამატებით სხვაგვარ უზრუნველყოფისათვის: იმ წარმოებისა, დაწესებულებისა და მეურნეობისათვის, რომელიც მოსალოდნელ უბედურების საშიშროებასა და სავნებლობის მიხედვით მიეკუთვნება 1—ლ ხარისხს—სამუშაო სასყიდლის 6 პროცენტი, მე-2-ე ხარისხ. 6.—7 პროცენტი, მე-3-ე ხარისხ.—8 პროც. და მე-4-ე ხარისხ.—9 პროც.

ბ) ინვალიდობისა და დაზღვეულთა სიკვდილის შემთხვევაში მათი ოჯახის წევრთა უზრუნველსაყოფად: იმ წარმოებასა და დაწესებულებისათვის, რომელიც მიეკუთვნება მოსალოდნელ უბედურების საშიშროებისა და მავნებლობის მიხედვით 1-ლ ხარისხს სამუშაო სასყიდლის—7 პროც., მე-2 ხარისხს, 8-ით, მე-3-ე ხარისხს,—9 პროც. და მე-4-ე ხარისხის—10 პროც.

გ) უმუშევრობისათვის: წარმოებისა, დაწესებულებისა და მეურნეობისათვის დამოუკიდებლად მოსალოდნელ უბედურების საშიშროებისა და მავნებლობის მიხედვით ამა თუ იმ ხარისხის მიკუთვნებისა—სამუშაო სასყიდლის 2 ნახ. პროც.

დ) სამკურნალო დახმარებისათვის: იმ წარმოებისა, დაწესებულებებისა და მეურნეობისათვის, რომელიც მოსალოდნელ უბედურების საშიშროებასა და მავნებლობის მიხედვით მიეკუთვნება 1-ლ ხარისხ.—სამუშაო სასყიდლის 5 ნახევარი პროცენტი, მე-2 ხარისხ.—6 პროცენტი, მე-3-ე ხარისხ.—6 ნახევარი პროცენტი და მე-4-ე ხარისხ.—7 პროცენტი.

2. ადმინისტრატიული და საბჭოთა დაწესებულებისათვის, რომელიც იმყოფება სახელმწიფო ბიუჯეტზე (სახალხო კომისარიატები და მათი ორგანოები ადგილობრივ):

ა) დროებითი უნარის უქონლობისა, დედობისა და დამატებითი სხვაგვარ უზრუნველყოფისათვითს—5 ნახევარი პროც.

ბ) ინვალიდობისა და დაზღვეულთა სიკვდილის შემთხვევაში მათი ოჯახის წევრთა უზრუნველსაყოფად—4 ნახევარი პროც.

გ) უმუშევრობისათვის—2 პროც.

დ) სამკურნალო დახმარებისათვის 2 პროცენტი.

3. იმ წარმოებისათვის, რომელიც იმყოფება სახელმწიფო ბიუჯეტზე.

ა) შრომის უნარის დროებით უქონლობისა, დედობისა და დამატებითი სხვაგვარ უზრუნველყოფისათვის—6 ნახევარი პროც.

ბ) ინვალიდობისა და დაზღვეულთა სიკვდილის შემთხვევაში მათი ოჯახის წევროა უზრუნველსაყოფათ—5 ნახევარი პროც.

გ) უმუშევრობისათვის—2 პროც.

დ) სამკურნალო დახმარებისათვის—3 პროცენტი.

4. სოციალური დაზღვევის გადასახადის აღნიშნული განაკვეთი ძალაში შედის 1923 წლის იანვრის 1-დან, ხოლო ამ ვადამდე ძალაში რჩება ამიერ-კავკასიის ცალკე რესპუბლიკებში დაწესებული განაკვეთი.

5. ამიერ-კავკასიის შრომის სახალხო კომისარიატს დაევალება შეიმუშავოს გადასახადის აკრეფისათვის სათანადო ინსტრუქცია.

ამიერ-კავკასიის სოც. საბჭ. რესპ. საკავშირო საბჭოს თავმჯდომარის მოვალეობის დროებითი აღმსრულებელი ვ. ბახუტოვი.

ამიერ-კავკასიის სოც. საბ. რესპ. საკავშირო საბჭოს მდივნის მოადგილე ვ. ორლოვ-მალასოვი.

პარტიული და საბჭოთა კალენდარი

პარტიული

— კვირას, 21 იანვარს,—11—2 საათამდე ამიერ-კავკასიის საგანგებო რაზმის შენობაში შესდგება გალკინის წრის კრება.

— სამშაბათს 23 იანვარს და შაბათს 27 იანვ რს საღამოს 5 ს.—7 ს. საქ. კომ. პარტიის ტფილისის კომიტეტის ბინაზე გაიმართება გალკინის წრის კრება.

— ოთხშაბათს, 24 იანვარს, სად. 7 საათზე სკოლის გარეშე მუშაკთა სახლში გაიმართება პენიაკოვის წრის კრება.

— შაბათს, 27 იანვ., საღამოს 7—9 ს. ცენტრ. პარტიულ სკოლის შენობაში გაიმართება ამხ. ნოვიკოვის ხელმძღვანელობით სტუდენტთა წრის კრება.

— საქართველოს კომპარტიის ტფილისის კომიტეტი წინადადებას აძლევს უმაღლეს სასწავლებლების ყველა პარტიის წევრებს, კანდიდატებს და ახალგაზრდობის კომკავშირის წევრ სტუდენტებს, რომელნიც დაბადებულნი არიან 1901 წ., პარტიულ ორგანიზაციაში ჩარიცხულნი არიან 1922 წლ. 1 მარტამდე და რომელნიც 1922 წ. დროებით განთავისუფლებული იქნენ პარტიულ მობილიზაციისაგან, გამოცხადნენ არა უგვიანეს მიმდინარე წლის 20 იანვრისა ტფ. კომიტეტის სააღრიცხვო-სასტატისტიკო ქვეგანყოფილებაში ანკეტის შესავსებად.

იმათ ვინც აღნიშნულ ვადაში არ გამოცხადდება, წაერთმევათ შემდეგში შეღავათით სარგებლობის უფლება.

ტ. კ. მდივანი კახიანი.

პროფესიონალური

— შაბათს 20 იანვარს პატარა თეატრის შენობაში დღის სრულ 12 საათზე დანიშნულია დეპუტატების არჩევნები ტფილისის საბჭოში განათლების მუშაკთა კავშირის წევრებისაგან.

განათლების მუშაკთა კავშირის თავმჯდომარე—შავერდოვა.

— შაბათს, საღამოს 5 საათზე ცენტრალურ მუშათა კლუბში შესდგება საფაბრიკო-საქარხნო და ადგილობრივ კომიტეტების კონფერენცია მეორე რაიონების კომისებთან ერთად.

დღის წესრიგი:

1. პროფინტერნის შესახებ.

განცხადებები

დღეს, 19 იანვარს,

ყველა საფინანსო კომისარიატებში დილიდანვე სწარმოებს სამოქალაქო გადასახადის მიღება.

სამოქალაქო გადასახადის ცენტრალური კომისია.

სახალხო ბანკის

გამგეობა

ამით აცხადებს,

რომ ბანკის საბჭოს დადგენილებით, რომელიც დამტკიცებულია საქართველოს სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარის მიერ, საქართველოს სახელმწიფოებრივ კოოპერატიულ დაწესებულებებს მიენიჭათ უფლება გადაუხადონ სახალხო ბანკს კურსის განსხვავების ერთი მესამედი, ხოლო კერძო პირებმა ორი მესამედი მათი ვალების ანგარიშში, ოქროს კურსის მიხედვით, რომელსაც დააწესებს ტფილისის კურსის დამწესებელი კომისია, იმ პირობით თუ ამ ვალების გადახდა მოხდება არა უგვიანეს ა. წ. 31 იანვრისა. ეს დადგენილება არ ვრცელდება იმ დაწესებულებებზე და პირებზე, რომელთაც აღებს სესხი ოქროთი და უცხოეთის ვალიუტით.

სახალხო ბანკის გამგეობა სთხოვს ზემოხსენებულ დაწესებულებებს და კერძო ფირმებს და პირებს

აღნიშნულ ვადამდე

ესე იგი ამა წლის 31 იანვრამდე

დაფარონ თავიანთი ვალები

წინააღმდეგ შემთხვევაში არავითარი შუამდგომლობა მომავალში დაკმაყოფილებული არ იქნება და ასეთ ბანკი გადაახდევინებს ოქროს კურსის მიხედვით სახალხო კომისართა საბჭოს დადგენილების თანახმად 1922 წ. 5 დეკემბრის თარიღით და 61 №-ით.

გამგეობა.

(კრ 77 4-1)

მაისისათვის მოწმობაზე და ენკენისთვისათვის

ვამზადებ მოწაფეებს

მუშათა ფაკულტეტზე, საერთო განათლების კურსებზე, სამხედრო სკოლაში, ტეხნიკუმში შესასვლელად და ვამზადებ მათემატიკაში, რუსულ და გერმანულ ენებში. პლეხანოვის და ალექსის ქუჩის კუთხე № 25 და 5. ნახვა 9—1 ს. 3—6 ს.

(53—2—1)

საქართველოს კოოპერატიული

ბანკი

თანახმად გამგეობის დადგენილებისა ამა წლის იანვ. 14 ამით აცნობებს საკოოპერაციო და საზოგადო დაწესებულებებს, რომ ამ შემთხვევაში თუ წარსული წლის ვალს გასულ დავალიანებას სავსებით გადაიხდიან ამა თვის 31-მდე ბანკი

იანგარიშებს ოქროს კურსის მხოლოდ 33 1/3%-ს.

1 თებერვლიდან კი კლიენტებს გადახდევინებთ ოქროს კურსის მთელი 100 პროცენტი.

(კრ. 78—1—1)

რ. ს. ფ. ს. რ. ✻ რ. ს. ფ. ს. რ.

რეზინო-ტრესტის

ტფილისის განყოფილება

აცხადებს,

რომ რეზინის ნაწარმოების მიღება შეიძლება:

ტფილისში

რეზინო-ტრესტის საწყობში.
სოლოლაკის ქ. № 4

ქუთაისში

კოოპერატივების რაიონულ კავშირში და ამხანაგობა „გრდემლში“.

ბათომში

რეზინო-ტრესტის ტფილისის განყოფილების წარმომადგენელთან.
ოლღინსკის ქ. № 12.

ერევანში

დროებით შეიძლება მიღება რ. ს. ფ. ს. რ. სახელმწიფო ბანკის საშუალებით.

(2-1)

სახელმწიფო კონსერვატორია

კვირას 21 იანვარს, დღისით

სიმფონიური კონცერტი

კონსერვატორიის დირექტ. ზაქ. ფალიაშვილის ხელმძღვანელობით

დასაწყისი დღ. სრულ 12 საათ.

ბილეთები 75 000—500.000 მ იყიდება კონსერვატორიაში 11—2 და 6-8 საათ. სად.

48—2 2

ს. თოდრია

ცრემლებით სიცილი

(პატარა ფელეტონები)

გამოვიდა და იყიდება ცეკას წიგნის მაღაზიაში, რუსთაველის პრ. № 22, და მუშათა სასახლეში.

2—2

მიწად-მოქმედების სახალხო კომისარიატის მიწად-მოწყობის და სახაზო ადგილების

განყოფილება

ამით აცნობებს მეთევზეებს და ყველა დაინტერესებულ პირებს, რომ ხუ შაბათს, 25 იანვარს, დღის 12 საათზე განყოფილების შენობაში (სასამა თლოს ქ. № 32).

გაიმართება საჯარო ვაჭრობა

1923 წლისათვის მდინარე მტკვარში, ხრამში, დებედაჩაიში, არაგვ და ყარაიაზის ტბაში თევზის ჭერას უფლების გაცემისათვის.

ვაჭრობის მსურველები აძლევენ 5000 მ. ღირბ დაკრულ განცხადებ და შემოაქვთ გირაოთ გამოცხადებულ ფასის რაოდენობის ერთი მეოთხე ნაწილი. აღნიშნულ თევზის საჭერ ადგილების გაცემის შესახებ კონდიც ების განხილვა შეიძლება განყოფილებაში 12 საათიდან დღის 3 სა თამდ

კრ. 53—2—

ელექტრონის და სინათლის

სამკურნალო

საწოლებით. რენტგენი დიარსონვალი

მიხეილ გედევანიშვილის სახელობით

ნერვიულ და შინაგან ავადმყოფთათვის—რომელნიც ფიზიკურ მეთოდებ მკურნალობას საჭიროებენ. ექიმობს სიფილისის ნერვიულ გართულებით.

სამკურნალოს სწავლობს **ექ. სვიმონ ყიფშიძის** ხელმძღვ

ტელეფონი. ტფილისი, კოლონოვის ქ. № 20.

(738—25—17)

საქართველოს კოოპერატივთა ცენტრალური

კავშირი

(ცეკავშირი)

აერთიანებს საქართველოს ყველა კოოპერატიულ ორგანიზაციებს.

მთავარი კანტორა: ტფილისი შტაბის ქ. 4—6 ტელ. 1—92 ტელეგრაფით მისამართი: ტფილისი ცეკავშირი.

შესდგება ორი სავაჭრო და არა სავაჭრო (სეკრეტარიატის) დარგებისაგან.

სავაჭრო დარგი: აწარმოებს ყოველნაირ სავაჭრო ოპერაციებს, როგორც რესპუბლიკის საზღვრებში (მოკავშირეთა ორგანიზაციების საშუალებით), ისე საზღვარ-გარეთაც (წარმომადგენლების საშუალებით); ამზადებს, როგორც ნედლეულობას, ისე ადგილობრივ ნაწარმოების ყოველგვარ პროდუქტებს; აწარმოებს საკომისიო ოპერაციებს: აქვს სატრანსპორტო-საექსპედიციო განყოფილება, რომელიც ასრულებს ყოველნაირ დავალებებს, როგორც კოოპერატიულ და სახელმწიფო ორგანიზაციების, ისე კერძო პირების.

განყოფილებანი და წარმომადგენლობები: 1) განყოფილება ბათომში: მ. ხაილოვის ქ № 10; 2) წარმომადგენლობა ევროპაში ვ. ელიაძოვი; 3) წარმომადგენლობა ყირიმში ქ. იალტა ვინოგრადნაია 11; 4) წარმომადგენლობა ბაქოში, პოჩტოვაია 82; 5) წარმომადგენლობა სტამბოლში (ამიერ-კავკასიის საგარეო ვაჭრობის სტამბოლის განყოფილება); 6) წარმომადგენლობა ოდესაში პრეობრაჟენსკაია 11 ბინა 6; 7) წარმომადგენლობა ნოვოროსიისკში, ცემსკაია 27; 8) წარმომადგენლობა ხარკოვში, დიმიტრიევსკაია 15; 9) წარმომადგენლობა სევასტოპოლში, ნახიმოვსკაია 6.

ცეკავშირის საკუთარი წამოწყებები

1) **საპნის ქარხანა**, ტფილისი, ვარანცოვის ქ 106 ტელ. 18—08; 2) **ძეხვის ქარხანა**, ტფილისი, კარუსელნაია 18 ტელ. 11—80; 3) **საკონსერვო ქარხანა გორში**, სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების ტეხნიკურათ გადამუშავება; 4) **სტამბა**, ტფილისი, პლეხანოვის პრ. № 71 ტელ. 11—80. დაკვეთების მიღება ყოველნაირ სასტამბო სამუშევრებისა; 5) საკუთარი გემი „საქართველოს კოოპერაცია“.

ცენტრალური საწყობი: ტფილისი, დროვიანაია 1, ტელ. 19—70.

არა სავაჭრო დარგი (ანუ სეკრეტარიატი) აწარმოებს მუშაობას საიდეიო-საორგანიზაციო სფეროში და იყოფა შემდეგ განყოფილებებათ:

1) საორგანიზაციო-საინსტრუქტორო-ინსტრუქციული და ორგანიზაციული დახმარება ყველა სახის კოოპერატიულ ორგანიზაციისათვის.

2) სასტატისტიკო-ეკონომიური-კოოპერატიული სტატისტიკა, ინფორმაცია, ეკონომიური გამოკვლევა და სხ.

3) საგამომცემლო—გამოცემა ყოველნაირი წიგნების, ბროშურების და სხ. კოოპერატიული და ეკონომიურ შინაარსიანი, საკუთარი კოოპერატიული ორგანოს „კავშირის“ გამოცემა, დაკვეთების მიღება ყოველნაირ სასტამბო მუშაობაზე და სხ.

4) კოოპერატიული განათლების—კოოპერატიული განათლების საორგანიზაციო ცენტრი, წიგნის მაღაზია, კოოპერატიული ორგანიზაციების კონსულტაცია მათში კოოპერატიული განათლების სათანადო სიმაღლეზე დასაყენებლათ.

მიმდინარე ანგარიში ბანკებში:

სახალხო ბანკში: უბრალო მიმდინარე ანგარიში № 18, სპეციალური მიმდინარე ანგარიში № 16.

კოოპერბანკში: უბრალო მიმდინარე ანგარიში № 3, სპეციალური მიმდინარე ანგარიში № 6.

(კრ. 65—8—3)

[illegible]

[illegible]